ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## რუსთავში პიტბულმა 4 ადამიანი დაგლიჯა




გვ.5



გვ.5

ლაშა ფურცხვანიძე: „მე ღმერთისგან პასუხისმგებლობა უკვე მაქვს სიცოცხლის ბოლომდე“

სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2022 №205 (8983) ფასი: 80 თეთრი

# „კალაძემ მოქალაქეებს შუათითი აჩვენა. მისგან ღირსეულ საქციელს არ ველოდები“



გვ.2



თაკო ჩარკვიანი: „ქალაქის მერი ჩვეულებრივი, საწყალი მარიონეტია. უბრძანებენ, წავა, უბრძანებენ, დარჩება“

## „საქართველოში ტენდერს იგებს ის, ვისაც „ჩაწყობა“ შეუძლია“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „კალაძეს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ პოლიტიკური პასუხი უნდა აგოს“






გვ.2

## არჩილ თალაკვაძე: „სააკაშვილის საკითხმა რეზოლუციაზე ტოქსიკური გავლენა მოახდინა“



გვ.4

## „უკრაინის ცა უნდა დაიხუროს“

„რუსეთის შესაძლებლობები და უპირატესობა მცირდება“

## მამუკა მდინარაძე: „ოპოზიცია ქვეყნის დაზიანებასა და ტრაგედიებში ხედავს საკუთარ შანსს“



გვ.3

## გერმანიის უმსხვილესი სპეცსამსახური: „რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება რეალურია“



გვ.2

1993230720223

5 ბასილაშვილის ადვოკატი: „ფსიქოლოგიური ტანჯვის მსხვერპლი იყო“

4 რუსეთიდან გადმორიცხვები 351%-ით გაიზარდა

6 მამაკაცმა ფულის და ოქროს ქურდობაში ჯინი დაადანაშაულა

6 რუს მობილიზებულებს შორის პირველი მსხვერპლია

# „კალაძემ მოქალაქეებს შუათითი აჩვენა. მისგან ღირსეულ საქციელს არ ველოდები“

## თაკო ჩარკვიანი: „ქალაქის მერი ჩვეულებრივი, საწყალი მარიონეტია. უბრძანებენ, წავა, უბრძანებენ, დარჩება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

***– ქალბატონო თაკო, საზოგადოების ნაწილი თბილისის მერის, კახა კალაძის გადადგომას მოითხოვს. რას იტყვით თქვენ? უნდა აიღოს თუ არა კალაძემ პასუხისმგებლობა, ან აქამდე უნდა გადამდგარიყო თუ არა? მხოლოდ მისი გადადგომა რამდენად უშველის საქმეს?***

– უშველის, არ უშველის, ახლა ამის დრო არ არის. დავიხოცეთ ხალხი. ძალიან დიდი ტრაგედია დატრიალდა. კალაძისგან დიდად არ ველოდებოდი ამ ნაბიჯებს. მე კომპლექსურად ვაფასებ ხოლმე ადამიანებს. კალაძემ შუა თითი რომ აჩვენა ვილაცებს, მერე გამოქანდითო და ათასი საზიზღრობა, მე ეგეთი ტიპებისგან არ ველოდები ღირსეულ საქციელს. თუმცა მაინც გამიკვირდა, ეს ოხერი, ასე რანაირად უნდა მოეპოტინო სკამს, რომ ელემენტარულად არ აიღო პასუხისმგებლობა. აბა ვინ არის პასუხისმგებელი, მითხარით, იმაზე, რომ ნათაღლითარს აბარებ პროექტის გაკეთებას. პროფესიონალები არ არიან საქართველოში თუ რა ხდება, გამაგებინეთ! ტენდერებში რომ კორუფციაა, ასეთი არსად არაფერია.

***– როგორც გაირკვა, ძალიან საეჭვო და ცუდი რეპუტაციის კომპანიებია.***

– ძალიან! და ამაზე პასუხისმგებლობა აბა ვინ უნდა აიღოს, მე და თქვენ?! თუმცა საზოგადოებაც ვერ ასცდება ფინალში ამ პასუხისმგებლობას. რა პასუხისმგებლობაა ეს, იცით? რომ ვითმენთ ამ ყველაფერს!

***– გამოძახილიც არ არის დიდი საზოგადოების მხრიდან. ვნახეთ, მერიის წინ აქციაზე სულ რამდენი კაცი მივიდა. ეს ვისი დამსახურებაა, ოპოზიციის?***

– ეს უკვე მიზეზია აქ რაღაც პარტიების დასახელება. შოკში ვარ, რა დროს პარტია და პარტიულობაა!

***– ახლა მიზანმიმართულად მიმდინარეობს ისრების გადატანა. რა ხდება, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობაა?***

– გულის ამრევია ეს ყველაფერი, ეს „გაპრავება“. ცოტა მეტი რიდი და მოკრძალებაა საჭირო. ასეთი გაპრავება დიდი უზნეობაა. აბა პოლიტიკური პასუხისმგებლობა რას ნიშნავს, მითხარით ერთი! აბა ვისი პასუხისმგებლობაა, თუ კალაძის არა, ვერ გავიგე! მეტროში რომ თავზე დაგვალეწა ყველაფერი და ჭერი ჩამოინგრა, ვისი პასუხისმგებლობაა ეს, გამარკვიეთ! ტენდერებში სულ არაპროფესიონალები მონაწილეობენ. ამას ვყვირით ამდენი ხანია. კორუფციული გარიგებები რომ არის, ეს ყველამ იცის. არაფერზე გამოძიება დაწყებული არ არის. აბა ვისი პასუხისმგებლობაა, თუ არა მისი?! ძალიან მარტივი კითხვაა, ხომ?! ვინ არის ისეთი მხეცი, რომ ვინმემ რამე ამ სიტუაციაში გამოიყენოს? ესეც რაღაც ჯოჯოხეთური აზროვნებაა. კალაძის გამპრავებლებიც დაფიქრდნენ, რა! საქმე მცირეწლოვან ბავშვს ეხება. ცოტა რიდი და მოკრძალება, ადამიანებო. სიჩუმე მაინც მოახერხეთ ამ დროს, სიჩუმე!

***– ამ ტენდერებთან დაკავშირებით ფიქრობთ, რომ სერიოზული კორუფციული ნიშნები იკვეთება?***

– უდიდესი, ხალხო, უდიდესი! ვერ გაეკარება ტენდერს ვერავინ, თუ მათი ნაცნობი და ამ კორუფციული ბანდის წევრი არ არის. გავშიფროთ, ვინ არის დღეს კორუფციასთან გარიგებული. ამაზე უარესი ღალატი არც არსებობს. სახლში პრაქტიკულად მიგაქვს მოხუცის წამლის ფული. არ ვიცი, როგორ ცხოვრობენ, ან რად ულირთ ასე ცხოვრება?!





***– აქციებს აანონსებდნენ, თუმცა ის არ იყო მასშტაბური. ამ ფონზე ელოდებით კალაძისგან წასვლას?***

– მისგან არ ველოდები არაფერს. უბრძანებენ, წავა, უბრძანებენ, დარჩება. ის ჩვეულებრივი საწყალი მარიონეტია. ქალაქის მერმა შუათითი აჩვენა მოქალაქეებს. აი, რა აღზრდა უნდა ჰქონდეს. ჩვენ რაღაცნაირად ეს დავუშვით. ნებისმიერ ქვეყანაში ამას რა მოჰყვებოდა, ხომ ხვდებით?! ოპოზიციას რაც შეეხება, მე არასდროს ვერიდები ოპოზიციის კრიტიკას. გუშინ დილით მერიასთან აქცია გამართეს „გირჩმა“ და „დროამ“ და არ იყო ხალხი.

***– ამით რის თქმა გსურთ, რატომ არ იყო?***

– დავიღალე, უკვე აღარაფერს ვამბობ, მერე სწყინთ. ვგრძნობ, რომ ყველას სწყინს. არადა, თქმა ხომ ყოველთვის ჯობია? ყოველთვის ვამბობ, რომ არასწორად მიმდინარეობს პროცესი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვამუნათებ ვილაცას ოპოზიციაში. როგორ გეკადრებათ! რომ ვთქვი, რუსთაველს ვერ ავცდებით-მეთქი, ხომ მართალი აღმოვჩნდი?! გამოვა რამე დიდი პროტესტის გარეშე?! არ გამოვა. რატომ? იმიტომ, რომ უნდა გადახედონ ისტორიას. არც არასდროს გამოსულა.

***– „გირჩის“ აქცია არასწორად იყო დაგეგმილი?***

– არა, მე ეგ არ მითქვამს. ამ აქციამდე არასწორად მიმდინარეობდა პროცესები. მე ვამბობ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ერთმანეთი, აუცილებელია, რომ ერთი საკითხის გარშემო მაინც გავერთიანდეთ, თორემ არც მე ვარ „გირჩის“ ამომრჩეველი და არც „გირჩს“ ჰყავს ჩემი ამომრჩეველი. რასაც ჰქვია 12 პუნქტის შესრულება, ქვეყნის ღალატთან რომ გვაქვს საქმე, ყველა რომ ტერორისტ სახელმწიფოდ აცხადებს რუსეთს და ესენი რომ გატრუნულები არიან, ხომ შეიძლება, ამ ერთი საკითხის ირგვლივ მაინც გავერთიანდეთ! ესეც ხომ არჩევნები არ არის! ჩვენ რომ მივიდეთ არჩევნებამდე, აი, ამიტომ უნდა გავერთიანდეთ დასავლეთის ვექტორის მქონე პარტიები. თუ ერთად არ დავდგებით, ისე არაფერი გამოვა. არა რაღაცა პარტიული ნიშნებით, არამედ გავერთიანდეთ სახალხო ქოლგის ქვეშ. როგორც კი წინასწარ დაიწყებენ ჩემია-შენიას, იმავე წამს ითესება ნიჰილიზმი.

> „საქართველოში ბიზნესის კეთება ძალიან რთულია. ამ ქვეყანაში მილიონები და მილიარდები არ იშოვება. ეს ტყუილია! რით ვერ დაძლნენ! რას ჰგავს ეს, რა უბედურებაა!“

***– ანუ ერთიანობის გარეშე არაფერი არ გამოვა?***

– ხომ ნახეთ დღევანდელი ენ-დი-აის კვლევები. ზოგიერთ პარტიას ის 3%-ც აღარ აქვს, რაც ჰქონდა. ამიტომ ჭკვიანად იყოს ყველა. დიდი ამბიცია ნურავის ნუ ექნება! ყველამ ვნახეთ, ვის რა პროცენტები აქვს. არანაირი ამბიცია არავის აღარ უნდა ჰქონდეს! ერთი დასავლური ქოლგის ქვეშ უნდა გავერთიანდეთ. ყველანი უნდა გავიდეთ ჩვენ– ჩვენი ელექტორატით, საბნების გაწევ-გამოწევის გარეშე და ვაღირსებთ ჩვენს ქვეყანას არაკორუფციულ ხელისუფლებას, ხოლო არაკორუფციული ხელისუფლება ვერცერთ ქვეყანაში ვერ იქნება რეფორმების გარეშე. უბრალოდ, ვერა! ის, რაც დღეს ხდება, ქვეყნის განადგურებაა. მომპარავი კაცი ქვეყნის მოღალატეა. არ უნდა ამას ბევრი განხილვა. ნამდვილად მეცოდება ყველა, ვინც ამ კორუფციის გამო ამხელა ტვირთი უნდა ზიდოს ზურგით, მათ შორის კახი კალაძემ. ჩემთვის კი ყველა კორუფციაში გარიგებული გარეწარია! საქართველოში ბიზნესის კეთება ძალიან რთულია. ამ ქვეყანაში მილიონები და მილიარდები არ იშოვება. ეს ტყუილია! რით ვერ დაძლნენ! რას ჰგავს ეს, რა უბედურებაა!

# არჩილ თალაკვაძე: „სააკაშვილის საკითხმა რეზოლუციაზე ტოქსიკური გავლენა მოახდინა“

რეზოლუციის თავდაპირველ ვერსიას, რომელიც უკრაინის მხარდაჭერას ეხებოდა, მხარი დავუჭირეთ პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა არჩილ თალაკვაძემ ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომელშიც რუსეთის რეჟიმი ტერორისტულ სახელმწიფოდ არის აღიარებული.




მისი თქმით, სააკაშვილის საკითხმა რეზოლუციაზე ტოქსიკური გავლენა მოახდინა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ ცვლილებას ორჯერ ნაკლები მხარდამჭერი ჰყავდა, ვიდრე მთლიანად რეზოლუციას.

– ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებები, ვინც პირდაპირ არიან რუსეთთან თანამშრომლობაში შემჩნეული, ხელფასებს იღებენ რუსული ორგანიზაციებიდან, საქართველოში რუსული ინტერესების გატარებით არიან დაკავებულები და ამას აკეთებენ დასავლეთის ფარდის უკან, არასერიოზულია. ისინი არც სხდომაში მონაწილეობდნენ და არ იციან რეალურად, როგორ მოხდა ამ რეზოლუციის განხილვა.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის განცხადებებს, ის რაც მოვისმინეთ, არ შეესაბამება რეალობას, ეს არის არასწორი ინფორმაცია. სინამდვილეში, საქართველოს დელეგაციის წევრებმა, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა პოლიტიკურ კომიტეტზე, სადაც ეს რეზოლუცია იყო ინიცირებული და განხილული, მხარი დავუჭირეთ რეზოლუციის თავდაპირველ ვერსიას, პირადად მე ვესწრებოდი კომიტეტის შეხვედრას, სადაც ჩემი პოზიცია კენჭისყრის დროს დავაფიქსირე, ანუ საქართველომ და საქართველოს სახელისუფლებო გუნდმა უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას ხმა მისცა პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე.

რაც შემდეგ მოხდა, დამაზიანებელი იყო და ეს გააკეთეს ნაციონალურმა მოძრაობამ და სააკაშვილთან დაკავშირებულმა რამდენიმე დეპუტატმა. მათ დააინიცირეს სააკაშვილთან დაკავშირებული ცვლილება ამ რეზოლუციაში, რომელსაც 600 დეპუტატიდან მხოლოდ 55-მა დაუჭირა მხარი. ამ საკითხს ჰქონდა ორჯერ ნაკლები მხარდაჭერა იმ მომენტში, ვიდრე რეზოლუციას, საერთო რაოდენობაზე რომ არაფერი ვთქვათ. აქედან ჩანს, რომ სააკაშვილის საკითხმა რეზოლუციაზე ტოქსიკური გავლენა მოახდინა და დარწმუნებული ვარ, ბევრი მათ შორის, უკრაინელი დეპუტატიც კი უკმაყოფილო იყო, ამ ცვლილების ინიციირებით, ეს გააკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ და მასთან დაკავშირებულმა რამდენიმე დეპუტატმა, – განაცხადა თალაკვაძემ.

კითხვაზე, თუკი კომიტეტის სხდომაზე მხარი დაუჭირა რეზოლუციას „ქართულმა ოცნებამ“, რატომ არ გამოიყენა შესაძლებლობა სააკაშვილთან დაკავშირებული პუნქტის გარეშე დაეფიქსირებინა მხარდაჭერა ასამბლეის სხდომაზეც, თალაკვაძე პასუხობს: „გეუბნებით და გთხოვთ, ეს გადასცეთ და უთხრათ საზოგადოებას, რომ ჩვენ რეზოლუციის თავდაპირველ ვერსიას, რომელიც უკრაინის მხარდაჭერას ეხებოდა, მხარი დავუჭირეთ პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე“.

მისივე თქმით, ის დღესაც მხარს უჭერს უკრაინას.

– დღესაც ვაფიქსირებ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და უფლებას, ჰქონდეს მშვიდობიანი მომავალი და თავად მიიღოს გადაწყვეტილებები მის მომავალზე, მხარს ვუჭერთ და ეს არაერთხელ დავადასტურეთ ბევრად უფრო მძიმეწონიანი რეზოლუციების მხარდაჭერით, – განაცხადა თალაკვაძემ.

# გერმანიის უმსხვილესი სპეცსამსახური: „რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება რეალურია“

– გერმანიის უმსხვილესი სპეცსამსახური რუსეთის მიერ უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავს იქიდან გამომდინარე, რომ ომში დამარცხებამ შესაძლოა „ეგზისტენციალური საფრთხე შეუქმნას პუტინის მმართველობას“ – ამის შესახებ გერმანული შპიგელი წერს.

ფედერალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი ბრუნო კალი მიიჩნევს, რომ საქმე შესაძლოა უკრაინის ტერიტორიაზე „სუბსტრატეგიული ბირთვული იარაღის“ გამოყენებამდე მივიდეს. მისივე თქმით, პუტინმა შესაძლოა მიმართოს ასეთ ნაბიჯს, ვინაიდან რუსეთის მხრიდან შესაძლო მოლაპარაკებებში კომპრომისებზე მზადყოფნის ნიშნები არ შეინიშნება.



თუმცა კალი იქვე აღნიშნავს, რომ სამსახურს ამ ეტაპზე არ აქვს მტკიცებულება, რომ რუსეთი სტრატეგიული ან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას გეგმავს.

კალმა უკრაინაში პუტინის ქმედებებს უწოდა „ომის გამოცხადება მთელი თავისუფალი, დემოკრატიული სამყაროსთვის“.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში ტენდერს იგებს ის, ვისაც „ჩაწყობა“ შეუძლია“

## ლევან ალაფიშვილი: „კალაძეს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ პოლიტიკური პასუხი უნდა აგოს“

ნათია ხურცილავა

**სამართალმცოდნე ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები აქციებს მართავენ კახა კალაძის გადადგომის მოთხოვნით. კალაძე აცხადებს, რომ თუ მისი პასუხისმგებლობა გამოიკვეთება, ის კანონის წინაშე პასუხს აგებს. როგორი უნდა იყოს მისი გადაწყვეტილება?***

– პირველ რიგში, გასაგებია, რომ კანონის წინაშე სისხლის სამართლის დანაშაული კალაძეს არ ჩაუდენია. გასაგებია, რომ მას არ ჩაუტარებია ეს სამუშაოები და არ მიუერთებია დენის წყარო, მაგრამ, ხომ ცალსახაა, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დგას. ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მან, როგორც პოლიტიკოსმა, უნდა აგოს პოლიტიკური პასუხი. ამაზეა საუბარი და არა სისხლისსამართლებრივ დანაშაულზე. კალაძეს, როგორც დედაქალაქის არჩეულ მერს, პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოების, ამ ქალაქის მცხოვრებლებისა და ამომრჩევლის წინაშე.





ტექნიკურ ნაწილზე თავისი სიტყვა გამოძიებამ უნდა თქვას. კონკრეტული კომპანია, კონკრეტული პირი, რომელსაც გამოძიება გამოკვეთს, რასაკვირველია, სისხლის სამართლის წინაშე აგებს პასუხს.

***– პოლიტიკურ ნაწილზე რომ ვისაუბროთ, იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც დგას სწორედ საზოგადოების წინაშე.***

– ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ინსტიტუციური დემოკრატიაა, ჩვენზე ოდნავ განვითარებულ ქვეყანაშიც კი საზოგადოებას არ დასჭირდებოდა გამოსვლა და ძალისხმევა, რომ პირველი პირი გადამდგარიყო.

ნებისმიერი თანამდებობის პირი ყოველგვარი ყოყმანისა და გამოძიების შედეგების გარეშე გადადგებოდა. ასეთია დემოკრატია, ასეთია ინსტიტუციური მმართველობის სტილი. სხვაგვარად, უბრალოდ, შეუძლებელი და წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომ გვინდა, დემოკრატიულ, ჯანსაღ სახელმწიფოში ვიცხოვროთ და არა იმ ქვეყანაში, სადაც ტენდერებს იგებენ ისინი, ვისაც ბევრი ფული აქვს თუ ნაცნობმეგობრები ჰყავს, ვისაც „ჩაწყობა“ შეუძლია.

როდესაც მმართველობითი სისტემა გამართული არ არის, როდესაც ეს სისტემა კორუფციულია თავისი შინაარსით, როდესაც ეს სისტემა არც ცენტრალურ და არც მუნიციპალურ დონეზე გამართული არ არის, რა თქმა უნდა, ასეთი სახიფათო, ტრაგიკული შემთხვევებისგან არავინ არ არის დაზღვეული.

როდესაც არ არსებობს სახელმწიფოებრივი მიდგომა და ყველაფერი სუბიექტურ, კერძო ინტერესებზე დაიყვანება, მაშინ ასეთი ტრაგედიებიც მოხდება და ვერც მერი და ვერცერთი პოლიტიკური პირი ვერ გააცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მის წინაშე იქნება. ასეთ დროს გვეტყვიან – თუ კანონის წინაშე ვიქნები დამნაშავე, პასუხს ვაგებ.

***– რა პრევენცია შეიძლება იყოს ასეთ დროს?***

– ყველგან ხდება უბედური შემთხვევა და მისგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ, როდესაც ეს უკვე სისტემურ სახეს იღებს, მაღაროში განვითარებული მოვლენები, სახლის მშენებლობებიდან მუშები რომ იღუპებიან, ბათუმის ტრაგედია თუ რომელი ერთი გავიხსენო, ეს უკვე ძალიან სახიფათო ხდება.

არსებობს კი ინფორმაცია კომპანიებზე, რომლებიც ტენდერებში იმარჯვებენ, როგორი პროფესიონალიზმით შეუძლიათ დაკისრებული მოვალეობის შესრულება? შემდეგ უკვე ვინ ახდენს ინსპექტირებას, შეიძლება, არის პროფესიონალი და მაღალი კვალიფიკაციის, მაგრამ, რამდენად არის კეთილსინდისიერი, ხომ არ არის კორუფციული გარიგების ნიშნები? – ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, სახელმწიფოს ეკისრება. აქ უკვე სახელმწიფო შემოდის, როგორც მთავარი აქტორი. ამიტომ არის, რომ ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება. გაუგებარია, რატომ ვერ გრძნობს ამ პასუხისმგებლობას კალაძე, როგორც თბილისის არჩეული მერი. მას მანდატი ხომ ხალხისგან აქვს.

***– ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე: რას შეცვლის კალაძის გადადგომა. თუმცა, პრეცედენტის შექმნა, რომ ჩინოვნიკი პასუხისმგებლობას გრძნობს, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენნაირი საზოგადოებისთვის?***

– უმნიშვნელოვანესია! თუმცა, არც ისე არ არის, რომ ცალკე საზოგადოება იყოს და ცალკე – პოლიტიკოსები. ეს პოლიტიკოსებიც ამ საზოგადოების ნაწილი არიან. ამიტომ არის მნიშვნელოვანი პრეცედენტის შექმნა, რომ ყველამ ერთად ვიგრძნოთ ეს პასუხისმგებლობა. ხომ ცალსახაა, რომ ხელისუფლებას აქვს კომფორტი. ის ვერ გრძნობს ამ პასუხისმგებლობას, სწორედ იმ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რომელიც აქვს ამომრჩეველს. შეიძლება, ესეც იყოს ამ ყველაფრის სათავე.

# მამუკა მდინარაძე: „ოპოზიცია ქვეყნის დაზიანებასა და ტრაგედიებში ხედავს საკუთარ შანსს“

– ქვეყნის დაზიანებაში და ტრაგედიებში ხედავენ საკუთარ შანსს – ამ ხალხთან გვაქვს ურთიერთობა, ამას ოპონირება არ ჰქვია, ამას ჰქვია ქვეყნის მტრობა და ამორალურობა, – ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მამუკა მდინარაძე ოპოზიციის წევრების კრიტიკულ განცხადებებს, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსულ პოლიტიკას ატარებს და რუსულ ნარატივს მიჰყვება.



მამუკა მდინარაძის განცხადებით, ისინი ცდილობენ, „ქართული ოცნების“ დაზიანებას, თუმცა ზიანდება ქვეყნის იმიჯი.

– ჩვენი ოპონენტების ყველა განცხადება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ და, ამავდროულად, მავნებლურ ინტერესს ემსახურება. ისინი არად დაგიდევენ იმ ამბავს, რომ ასეთი განცხადებით ქვეყნის იმიჯი ზიანდება. ისინი ცდილობენ „ქართული ოცნების“ იმიჯის დაზიანებას და ქვეყნის იმიჯი ზიანდება.

როდესაც საქართველოს მოსახლეობას ეუბნები, რომ უკვე ათი წელია ირჩევ რუსულ ხელისუფლებას, აზრზე არა ხარ, წარმოდგენა არა გაქვს, რას აკეთებ.... ოკუპანტის მოყვარულ, მტრულ ხელისუფლებას რომ ირჩევენ, ამას აჯერებ და ეუბნები ხალხს, ეს შენი ქვეყნის შეურაცხყოფაა და ამას რომ ჰკადრებ საზოგადოებას, საქართველოს მოქალაქეებს, ეს არის საქართველოს იმიჯის დაზიანება და ნებისმიერი ქართველის და საქართველოს მოქალაქის შეურაცხყოფა.

არ ერიდებიან ესენი საკუთარი ქვეყნის იმიჯის დაზიანებას, ტრაგედიით სარგებლობას, ტრაგედიით მანიპულირებას. ქვეყნის დაზიანებაში და ტრაგედიებში ხედავენ საკუთარ შანსს. ადამიანები, რომლებიც ტრაგედიაში და ქვეყნის იმიჯის დაზიანებაში შანსს ხედავენ, რას იმსახურებენ, ცოტა რთული სალაპარაკოა კამერების წინ. ამ ხალხთან გვაქვს ჩვენ ურთიერთობა და ეს ხალხია, სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ოპონირების გამწევი და ამას ოპონირება არ ჰქვია, ამას ჰქვია მტრობა ამ ქვეყნის და ამას ჰქვია ამორალურობა, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლებმა 7.1 მლრდ ლარი შეადგინა

2021 წელს საქართველოში საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების დეკლარირებულმა შემოსავლებმა 7101.2 მლნ ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.



მათივე ცნობით, აქედან უდიდესი ნაწილი (76.3 პროცენტი) მიეკუთვნება საპროცენტო და მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს, 11.2 პროცენტი მოდის საკომისიოებზე, ხოლო დარჩენილი 12.5 პროცენტი სხვა სახის შემოსავლებზე ნაწილდება.

– 2021 წლის დასასრულისთვის საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სალაროში განთავსებული იყო 2370.0 მლნ ლარი ნაღდი ფულის სახით.

2021 წლის ბოლოსთვის ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენმა (საბალანსო) ღირებულებამ 1800.6 მლნ ლარი შეადგინა.

2021 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 38.5 ათას კაცს, რომელთაგან 60.3 პროცენტი ქალი იყო.

2021 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) გამომუშავებულმა პრემიამ (ბრუტო) 705.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 39.2 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 16 პროცენტი – ქონების დაზღვევაზე, 8.5 პროცენტი – სიცოცხლის დაზღვევაზე, 5.8 პროცენტი – სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 2 პროცენტი – უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (28.5 პროცენტი) სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

2021 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) 425.2 მლნ ლარით განისაზღვრა, რომლის 56.5 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 8.7 პროცენტი – ქონების დაზღვევაზე, 7.1 პროცენტი – სიცოცხლის დაზღვევაზე, 3.4 პროცენტი – სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 0.1 პროცენტი – უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (24.2 პროცენტი) სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება, – ნათქვამია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „იყავით ფრთხილად“ – ეროვნული ბანკის განცხადება




საქართველოს ეროვნული ბანკი მოქალაქეებს აფრთხილებს ყურადღება გამოიჩინონ ინტერნეტსივრცეში ფინანსური თუ პირადი მონაცემების მითითებისას. როგორც სებ-ი აცხადებს, გახშირდა შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს სხვადასხვა ვებგვერდზე მათი პირადი ინფორმაციის შევსების სანაცვლოდ, გარკვეული ფულადი თუ სხვა პრიზების მოგების დაპირებით, გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობენ. სებ-ის ცნობით, ისინი მსგავსი სახის ონლაინგათამაშების ორგანიზებას არ ახდენენ:

– ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს სხვადასხვა ვებგვერდზე მათი პირადი ინფორმაციის შევსების სანაცვლოდ, გარკვეული ფულადი თუ სხვა პრიზების მოგების დაპირებით, გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობენ.

ამასთან, რამდენიმე შემთხვევაში, გათამაშების შესახებ ინფორმაცია ეროვნული ბანკის სახელითაც გავრცელდა. მათ შორის, მომხმარებლებს ამ შეთავაზებების სხვა პირებთან გავრცელებისკენ უბიძგებდნენ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული ბანკი არანაირი მსგავსი სახის ონლაინგათამაშების ორგანიზებას არ ახდენს.

ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ ინტერნეტსივრცეში ფინანსური თუ პირადი მონაცემების მითითებისას, პირველ ყოვლისა, გადაამოწმონ და კარგად დააკვირდნენ ვებგვერდის მისამართს, სადაც შეჰყავთ ინფორმაცია, მოიძიონ აღნიშნული კომპანიის სანდოობისა და საქმიანობის შესახებ მონაცემები, ხოლო თუ კომპანია, ერთი შეხედვით, სანდო და ნაცნობია, გადაამოწმონ შეთავაზების ნამდვილობა.

# რუსეთის ქალაქ იეისკში რუსული მოიერიშე თვითმფრინავი საცხოვრებელ კორპუსს შეეჯახა

რუსეთის ქალაქ იეისკში, რომელიც უკრაინის მახლობლად მდებარეობს, რუსული მოიერიშე თვითმფრინავი საცხოვრებელ კორპუსს შეეჯახა.

სოციალურ ქსელებში გავრცელებულ კადრებში ჩანს, ცეცხლში გახვეული მრავალსართულიანი შენობა.

რუსული მედიის ცნობით, ოფიციალური პირები ცდილობდნენ, ადგილზე მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია დაადგინონ.

საინფორმაციო სააგენტო „რიას“ ცნობით, ჩამოვარდნილი თვითმფრინავი Sukhoi Su-34 იყო, რომელიც ზებგერითი საშუალო მანძილზე მოქმედების გამანადგურებელი-ბომბდამშენია. „რიას“ ინფორმაციით, ის სამხედრო აეროდრომიდან სასწავლო ფრენის დროს ჩამოვარდა. სააგენტო „ტასის“ ცნობით კი კატასტროფა ძრავის გამო მოხდა.

კიდევ ერთი რუსული საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“ ადგილობრივ საგანგებო სიტუაციების სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, რომ საცხოვრებელი კორპუსის ხუთი სართული ცეცხლში იყო გახვეული, ზედა სართულები კი ჩამოინგრა, დაზიანდა დაახლოებით 45 ბინა.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ქალაქ იეისკში მოიერიშე თვითმფრინავის ჩამოვარდნის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. როგორც რუსული მედია წერს, სამხედრო გამომძიებლები მომხდარის გარემოებებსა და მიზეზებს ადგენენ.

# „უკრაინის ცა უნდა დაიხუროს“

## „რუსეთის შესაძლებლობები და უპირატესობა მცირდება“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის შეიარაღებული ძალები აგრძელებენ თავდაუზოგავ ბრძოლას საკუთარი ქვეყნის დასაცავად. არსებობს რწმენა, რომ აგრესორი რუსეთის ბოლოდროინდელმა სარაკეტო იერიშებმა უფრო მეტად შეამცირა მტრის რესურსები.

რუსეთის სარაკეტო ტერორით ფრთაშესხმულმა პრორუსულმა ჯგუფებმა საქართველოში ანტიუკრაინულ-ანტიდასავლური პროპაგანდის მორიგი ტალღა გააძლიერეს. ისინი ხალხს არწმუნებენ, რომ რუსეთი გამარჯვებულია, რომ საქართველომ ახალი რეალობა უნდა გაითვალისწინოს და კონსტიტუციაში ნეიტრალიტეტი დააფიქსიროს. კრემლის მიმდევრები ღიად მოითხოვენ კრემლის ულტიმატუმის შესრულებას.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ევროატლანტიკური კურსის მიმდევარია, პროკრემლისტური დაჯგუფებებისთვის პასუხის გამცემი ძალები კი საქართველოში მაინც სანთლით საძებარი გახდნენ.

რა ხდება ფრონტზე? რის იმედი აქვთ უკრაინელებს? ამაზე უკრაინულ მედიას ესაუბრება უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ვლადისლავ სელეზნიოვი.

***— ხდება ბელარუსიდან შესაძლო თავდასხმის თემის აქტუალიზება. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლუკაშენკო ბელარუსში ატარებს ფარულ მობილიზაციას. სოფლებში არიგებენ გასაწვევ ბარათებს. ჯერჯერობით ახდენენ მძღოლების, მზარეულებისა და ტექნიკური პერსონალის მობილიზაციას. შეიძლება თუ არა, ეს იყოს ტყუილი, ანუ ინფორმაციის „გადმოგდება“ იმისათვის, რომ გაიტყუონ ჩვენი ჯარები ამ მიმართულებით?***

— ეს ღონისძიებები სწორედ ამ მიზნით ტარდება. აშკარაა, რომ ლუკაშენკო ყველანაირად ფეხს ითრევს, რათა რეალურად არ აამოქმედოს თავისი ძალები და საშუალებები ამ ე.წ. სპეციალურ სამხედრო ოპერაციაში, მასზე პუტინის კოლოსალური ზეწოლის მიუხედავად. ამიტომაც აწყობს ლუკაშენკო, უკვე 24-ე კვირაა, მასშტაბურ წვრთნებს ყველა პოლიგონზე, აჟღარუნებს იარაღს, აქტიურად არიგებს საბრძოლო მასალებსა და შეიარაღებას პუტინის არმიისათვის. ის ახდენს ბობოქარი საქმიანობის იმიტირებას. ამას აკეთებს იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს თავისი შეიარაღებული ძალების უშუალო ჩართვა ამ კონფლიქტში. ძალოვნები, არმია დღეს ლუკაშენკოს მთავარი საყრდენია. ამგვარი ბაზის დაკარგვას მისთვის მძიმე შედეგი ექნება. ის მღელვარე საქმიანობის იმიტაციას გააგრძელებს. ამ ყველაფრის აქცენტი ასეთია – უკრაინულმა თავდაცვის ძალებმა ძალებისა და საშუალებების გარკვეული კომპლექტი უნდა განათავსონ ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვართან და არ გადაიყვანონ ისინი ფრონტის სხვა არანაკლებად მნიშვნელოვან მიმართულებებზე.



***— ლუკაშენკო ომის პირველივე დღეებიდან უთმობს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიას ოკუპანტს. ბელარუსის ტერიტორიიდან ხდება სარაკეტო დარტყმები. მიიჩნევთ თუ არა, რომ უკრაინას მორალური უფლება აქვს, განახორციელოს საპასუხო დარტყმები ბელარუსის ტერიტორიაზე?***

— ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს არა მორალური, არამედ რაციონალური თვალსაზრისით. თუ არსებობს ობიექტები, რომლებიც საფრთხეა უკრაინის თავდაცვის ძალების საქმიანობისათვის, ქვეყნის მოსახლეობისათვის (სარაკეტო კომპლექსების გასაშვები მოედნები, აეროდრომები, საიდანაც ფრინდებიან მტრის თვითმფრინავები), ისინი კანონიერ სამიზნეებს წარმოადგენენ.

რამდენად სწრაფად შეიძლება განხორციელდეს გეგმა ამ სახის ობიექტების გასანადგურებლად, ამის თქმა მიჭირს. აქ მუშაობას იწყებს რაციონალურობის ფაქტორი: სანამ რამეს გააკეთებ, უნდა შეაფასო წარმატებულობა, ეფექტიანობა და კონფლიქტის მეორე მხრიდან კონტრმოქმედება. თუ ასეთი მოქმედებები აუცილებლად ჩაითვლება, ისინი გატარდება.

სავსებით აშკარაა, რომ ბელარუსი დე ფაქტო კონფლიქტის მხარეა. ის რუსეთის საოკუპაციო არმიას უთმობს ქვეყნის ტერიტორიას, საჰაერო სივრცეს, სამხედრო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურას.

***— უკრაინა შეეჯახა სარაკეტო და დრონების ტერორს, რის შედეგადაც ზარალდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, სამოქალაქო ინფრასტრუქტურა. უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი დანილოვი აცხადებს, რომ მას აქვს ინფორმაცია რუსული რაკეტების თაობაზე. მისი თქმით, რუსეთის ჯარს დარჩა მაღალი სიზუსტის რაკეტების 30%-ზე ნაკლები იმ რაოდენობიდან, რაც 24 თებერვლისთვის ჰქონდა. „რამშტაინ 6“-ის შემდეგ მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, უკრაინას მოაწოდონ საჰაერო თავდაცვის საშუალებები. ნატო გვპირდება დრონების გამანადგურებლებს. თქვენი აზრით, რა უფრო მალე მოხდება – რუსეთს რაკეტები გაუთავდება თუ ჩვენ მივიღებთ მათგან საიმედო დაცვას?***

— მგონია, რომ ჩვენ უფრო ადრე მივიღებთ დახმარებას. გარკვეულ შედეგს გვაჩვენებს ასევე უკრაინის თავდაცვის სამრეწველო კომპლექსი.

ცის დახურვის გარეშე იმის იმედად ყოფნა, რომ მტერს რაკეტები გაუთავდება, მთლად რაციონალური მიდგომა არ არის. უკრაინას სჭირდება ფარი, რომელიც ცას ჩაკეტავს.

***— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როცა ფარი გვექნება, ომში გარდატეხა მოხდება?***

— პირველ რიგში, ორიენტაცია უნდა გვქონდეს იმაზე, რომ ცის ჩამკეტი ფარი დაგვეხმარება, დავიცვათ მშვიდობიანი მცხოვრებლები, კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები. ომში გარდატეხა კი ბრძოლის ველზე მიიღწევა.

ვხედავთ, თუ როგორ მცირდება რუსეთის არმიის შესაძლებლობები და უპირატესობა. ამჟამად მუშავდება ცის ჩაკეტვის ქეისი. შესაბამისად, რუსეთი დაკარგავს უპირატესობას ავიაციაში.

ვფიქრობ, რომ მტერი ახლა ეცდება უპირატესობის მოპოვებას ცოცხალ ძალაში მობილიზაციის გათვალისწინებით. ეს დროებითი უპირატესობა ლიკვიდირებული იქნება ჩვენი არტილერიის ეფექტური მუშაობით. ცნობილია, რომ რუსების დანაკარგის 90% უკრაინის არტილერიის საქმიანობის შედეგია.

ეკონომიკა

# 196 მლნ ლარზე მეტი მოგება ერთ წელიწადში — რა შემოსავალი აქვს აზარტული თამაშების კომპანია „მარსს“

გასულ წელს ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე 10 კომპანიას შორის 6 აზარტული თამაშების საქმიანობითაა დაკავებული. საქსტატის მიერ მოწოდებულ ინფორმაციის თანახმად, ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიებს შორისაა შპს „მარსიც“.



„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, როგორი იყო 2021 წელი კომპანიისთვის. reportal.ge-ზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, რომ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, „მარსს“ მოგებაც გაეზარდა და შემოსავალიც.

შარშან კომპანიამ 453,559 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო (2020 წელს 363,292 მლნ ლარი). „მარსის“ წმინდა მოგება კი 2021 წელს 196,133 მლნ ლარი იყო, ეს 19.07 მლნ ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. 2020 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ 177,063 მილიონი ლარი შეადგინა.

ამასთან, 2021 წლის საანგარიშო პერიოდში, კომპანიის ჯამური აქტივები 86,398 მილიონ ლარს შეადგენდა (2020 წელს 167,964 მილიონი ლარი).

ანგარიშგების მიხედვით, 2021 წელს კომპანიის შემოსავალი სეგმენტების მიხედვით ასე ნაწილდება:

შემოსავალი ონლაინკაზინოს თამაშებიდან – 350,730 მილიონი ლარი (2020 წელს 270,597 მილიონი ლარი);

შემოსავალი ტოტალიზატორიდან – 80,300 მილიონი ლარი (2020 წელს კი 70,320 ლარი);

წმინდა შემოსავალი ონლაინ პეერ-ტო-პეერ თამაშებიდან – 9,388 მილიონი ლარი, (2020 წელს – 11,251 მილიონი ლარი); სხვა შემოსავალი (კლიენტებთან გარიგების) – 13,141 მილიონი ლარი (2020 წელს კი 11,124 მილიონი ლარი);

ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2021 წელს „მარსის“ სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები 35,280 მილიონი ლარი იყო, ხოლო დასაქმებულებისთვის განკუთვნილი ანაზღაურება – 17,286 მლნ ლარი.

ცნობისთვის, შპს მარსის 100% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ენთეინ ჯორჯიას ეკუთვნის. მმართველი ორგანო კი პარტნიორთა კრებაა. დირექტორთა საბჭო თავმჯდომარე გერმანიის მოქალაქე სტეფან იულიუს ჰეილმანია. წევრები, კობა გიგლემიანი და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები ობდულიო ბაკარეზე და რობერტ გრანტ ჰოსკინი.

# რუსეთიდან გადმორიცხვები 351%-ით გაიზარდა



საქართველოში ფულადი გზავნილების მორიგი რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. 2022 წლის სექტემბერში მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნიდან 387,177 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც 84,5%-ით მეტია წინა წლის სექტემბერთან შედარებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, შარშან სექტემბერში ქვეყანაში 209,749 მლნ დოლარის ფულადი გზავნილები განხორციელდა.

ტრადიციულად, გასულ თვესაც ლიდერის პოზიციაზე იყო რუსეთი, საიდანაც გზავნილების მოცულობამ წინა თვესთან შედარებით 57%-ით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 351%-ით მოიმატა.

ტოპ-10 ქვეყანა, საიდანაც 2022 წლის სექტემბერში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა, ასე გამოიყურება:

რუსეთი – 173,942 მლნ დოლარი; იტალია – 36,288 მლნ დოლარი; აშშ – 28,679 მლნ დოლარი; საბერძნეთი – 18,451 მლნ დოლარი; ყირგიზეთი – 18,120 მლნ დოლარი; ისრაელი – 16,437 მლნ დოლარი; გერმანია – 15,921 მლნ დოლარი; ყაზახეთი – 10,126 მლნ დოლარი; თურქეთი – 9,817 მლნ დოლარი. სომხეთი – 8,984 მლნ დოლარი;

მთლიანად, 2022 წლის 9 თვეში ქვეყანაში სულ 2,8 მლრდ დოლარზე მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა.

ამასთან, სებ-ის მონაცემებით, საქართველოდან საზღვარგარეთ სექტემბერში 31,950 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, რაც 2021 წლის სექტემბრის (29,211 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 9,3%-ით მეტია.

# ომის დაწყების შემდეგ რუსეთიდან საქართველოში ნავთობის იმპორტი თითქმის გაოთხმაგდა



ომის დაწყების შემდეგ რუსეთიდან საქართველოში ნავთობის იმპორტი თითქმის გაოთხმაგდა. კერძოდ, მას შემდეგ რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა, მარტში საქართველოში 21,881 მლნ აშშ დოლარის ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა, აგვისტოში კი 83,059 მლნ აშშ დოლარის. ამასთან, მზარდი იყო ყოველთვიური მონაცემებიც.

უფრო დეტალურად, საქსტატზე დაყრდნობით, გთავაზობთ ინფორმაციას, რომელ თვეში, რა რაოდენობის პროდუქტი შეიძინა საქართველომ რუსეთისგან:

მარტი – 21,881 მლნ აშშ დოლარი; აპრილი – 29,097 მლნ აშშ დოლარი; მაისი – 50,342 მლნ აშშ დოლარი; ივნისი – 59,681 მლნ აშშ დოლარი; ივლისი – 70,031 მლნ აშშ დოლარი; აგვისტო – 83,059 მლნ აშშ დოლარი.

# რუსმა ოკუპანტებმა კიევს ირანული დრონებით შეუტიეს



უკრაინის ტერიტორიაზე ომი გრძელდება. რუსმა ოკუპანტებმა კიევს ირანული დრონებით შეუტიეს. ერთ-ერთი დრონი საცხოვრებელ სახლს დაეცა და დაანგრია.

— მოსახლეობას მოვუწოდებთ, თავშესაფარში დარჩნენ, – განაცხადა კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ.

კიევის გარდა, რუსმა ოკუპანტებმა დაბომბეს სუმისა და დნეპროპეტროვსკის ოლქები, ქალაქები ნიკოლაევი და ოდესა.

ყველაზე გააფთრებული ბრძოლები დონბასშია. რუსი ოკუპანტები კვლავ შეეცადნენ შეტევას ბახმუტისა და ავდეევკის მიმართულებით. შეტევა მოგერიებულ იქნა. უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას კრემენნოეს მიმართულებით.

საომარი მოქმედებები არ წყდება არც უკრაინის სამხრეთ რეგიონში. უკრაინელებმა განახორციელეს აფეთქებათა მთელი სერია ბერდიანსკში, მელიტოპოლში და ა.შ. ოკუპანტებსა და ადგილობრივ კოლაბორაციონისტებს შორის დიდი მსხვერპლია.

— მზადდება ზაპოროჟიეს ოლქის განთავისუფლება და ამიტომაც აფეთქებები გაძლიერდა, – ამბობს მელიტოპოლის მერი ფიოდოროვი.

დაძაბული მდგომარეობაა ხერსინსჩინაზეც. უკრაინელებმა კიდევ რამდენიმე სოფელი დაიკავეს და ხერსონს მიადგნენ.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, ხერსონის გათავისუფლების პერსპექტივა რეალურია. ქალაქში დისლოცირებული რუსი ჯარისკაცები გამუდმებით ლოთობენ და მოსახლეობას აწიოკებენ. ხალხიც უკრაინულ არმიას მოელის.

# ისრაელი უკრაინას მხარს უჭერს



ისრაელელმა მინისტრმა დიასპორის საკითხებში შაიამ უკრაინის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. შაიამ განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა ისრაელმა ისევე უნდა დაუჭიროს მხარი უკრაინას, როგორც აშშ-მ და ნატომ.

— აქამდე ისრაელის ოფიციალური პირები მსგავსი განცხადებებისაგან თავს იკავებდნენ, – ამბობს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

რუსი პოლიტოლოგი პიონტკოვსკი აღნიშნავს, რომ ისრაელის განცხადება განაპირობა ირანისა და რუსეთის დაახლოებამ. ირანმა გამოთქვა მზადყოფნა, გადასცეს რუსეთს რაკეტები „მიწა-მიწა“. პასუხად ისრაელმა უკრაინის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ხელვაჩაურში ქალღმა 5 წლის ბავშვი დაკბინა




ხელვაჩაურში 5 წლის ბავშვი ძაღლმა დაკბინა.

ინფორმაციას „ბათუმელები" ავრცელებს.

ბავშვი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა დედათა და ბავშვთა სამედიცინო ჰოსპიტალში გადაიყვანა.

5 წლის ბავშვს დაზიანებები სახის არეში აქვს. ის ქირურგიულ განყოფილებაშია მოთავსებული და შესაძლოა ყბასახის ქირურგიული ოპერაცია დასჭირდეს.

# ბასილაშვილის ადვოკატი: „ფსიქოლოგიური ტანჯვის მსხვერპლი იყო"



ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებული ჩოგბურთელის, ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ ის ფსიქოლოგიური ტანჯვის მსხვერპლი იყო.

ნელი დოროყაშვილის მხრიდან მიყენებულ ფსიქოლოგიურ ძალადობასა და ტანჯვაზე საუბარია დოკუმენტში, რომელიც ნიკოლოზ ბასილაშვილის ფსიქოლოგებმა მოამზადეს.

ადვოკატ თეონა გვაზავას განცხადებით, ბასილაშვილი დოროყაშვილთან თანაცხოვრებისა და განქორწინების შემდეგაც განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას და ის აპირებს, რომ ამის შესახებ სასამართლოზე მოწმეებად ფსიქოლოგები დაკითხოს:

– სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად შეუძლია პირს განახორციელოს ფსიქოლოგიური ტანჯვა, იმ შემთხვევაში, თუ თვითონაც იყო ფსიქოლოგიური ტანჯვის მსხვერპლი და ამას წლების განმავლობაში განიცდიდა, – განაცხადა ბასილაშვილის ადვოკატმა.

# ლაშა ფურცხვანიძე: „მე ღმერთისგან პასუხისმგებლობა უკვე მაქვს სიცოცხლის ბოლომდე"

ლაშა ფურცხვანიძე ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე – მე ღმერთისგან პასუხისმგებლობა უკვე მაქვს სიცოცხლის ბოლომდე, ახლა რა პასუხისმგებლობა იქნება, ნამდვილად არ მაინტერესებს.

„გრინსერვის პლუსის" დირექტორ ლაშა ფურცხვანიძის განცხადებით, ვაკის პარკში განთავსებულ შადრევანში ელექტროგაყვანილობა შემოწმებული იყო როგორც დაინსტალირების დროს, ისე შემდეგაც.

როგორც ფურცხვანიძემ პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ადგილზე „ერთიანი გამანაწილებელი სისტემა იყო".

კითხვაზე, რას უკავშირდება მომხდარი, ფურცხვანიძე ასე პასუხობს: „ვერ გეტყვით". მისივე თქმით, გამოკითხვაზე, სავარაუდოდ, კიდევ დაიბარებენ.

– მე ღმერთისგან პასუხისმგებლობა უკვე მაქვს სიცოცხლის ბოლომდე, ახლა რა პასუხისმგებლობა იქნება, ამ ეტაპზე ნამდვილად არ მაინტერესებს, – განაცხადა ლაშა ფურცხვანიძემ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში, შადრევანში სამი ბავშვი ბურთის ამოსატანად ჩავიდა, რა დროსაც მათ დენმა დაარტყა. ბავშვები კლინიკაში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა. ერთ-ერთი ბავშვის, 13 წლის გოგონას, მარიტა მეფარიშვილის მდგომარეობა თავიდანვე მძიმე იყო და ის ხეჩინაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა.



შსს-ს განმარტებით, მომხდარ ფაქტზე დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების მსვლელობისას დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც გულისხმობს ელექტროობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ძალადობის, მუქარისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს შენახვისა და გავრცელების ფაქტებზე ბრალდებულს 6 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულად გაიზიარა და დამამცირებელი მოპყრობის, ძალადობის, მუქარის, თვითნებობისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და გავრცელების ფაქტებზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, დაზარალებულის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა განახორციელა, ასევე რამდენჯერმე მასზე იძალადა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადასტურდა, რომ ბრალდებულმა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინფორმაცია უკანონოდ მოიპოვა და შეინახა, რაც ინტერნეტის მეშვეობით უკანონოდ გაავრცელა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 2021 წლის 21 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის პირველი ნაწილით (დამამცირებელი მოპყრობა), 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა (ორი ეპიზოდი)), 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა(ორი ეპიზოდი)), 360-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითნებობა) და 1571 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის მეშვეობით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეუფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული წარდგენილ ბრალდებებში სრულად დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეუფარდა.

# რუსთავში პიტბულმა 4 ადამიანი დაგლიჯა




რუსთავში პიტბულმა 4 ადამიანი დაგლიჯა. „ინფო რუსთავის" ინფორმაციით, შემთხვევა გვიან ღამით შარტავას გამზირზე მოხდა. დაზარალებულები ახალგაზრდები, 2 ქალი და 2 მამაკაცი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ, რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოთხივე მათგანს ნაკბენები კიდურებისა და მუცლის არეში აღენიშნებოდათ.

როგორც დაზარალებულებმა თქვეს, პიტბული მათ თავს, ქუჩაში, სრულიად უწყინარ სიტუაციაში დაესხა.

მათივე განმარტებით, პიტბულს პატრონი ალიკაპისა და საბმელის გარეშე ასეირნებდა.

# სარფის საბაჟოზე ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები აღმოაჩინეს




„სარფში" ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი", ეჭვის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული, საქართველოს მოქალაქის ა.ბ.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, 2 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე იარაღის დეტალები, 18 ცალი ვაზნა და სხვადასხვა ზომის 5 დანა აღმოაჩინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

# ნელი დოროყაშვილის ადვოკატი: „არ ვეთანხმებით, თითქოს ნიკოლოზ ბასილაშვილი ტანჯვას განიცდიდა"




– არ ვეთანხმებით დოკუმენტის შინაარსს, თითქოს ნიკოლოზ ბასილაშვილი ტანჯვას განიცდიდა ნელი დოროყაშვილის მხრიდან რაიმე ქმედების შედეგად, – ამის შესახებ ნელი დოროყაშვილის ადვოკატმა ანა თავხელიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან განაცხადა, სადაც დღეს ნიკოლოზ ბასილაშვილისა და ნელი დოროყაშვილის მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართება.

აღნიშნული განცხადებით, თავხელიძე გამოეხმაურა ნიკოლოზ ბასილაშვილის ფსიქოლოგების მიერ მომზადებულ დოკუმენტს, რომელშიც ასახულია, თითქოს საქართველოს პირველი ჩოგანი მისი ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობასა და ტანჯვას განიცდიდა.

დოროყაშვილის ადვოკატ ანა თავხელიძის შეფასებით, შესაძლოა, ბასილაშვილი ტანჯვას „სხვა პირების მხრიდან განიცდიდა, მაგრამ ნელი დოროყაშვილის მხრიდან – არა".

– აღნიშნული დოკუმენტი აქამდე სასამართლოში წარდგენილი არ იყო, არც ჩვენ ვიცნობთ მის შინაარსს და არც ბრალდების მხარე დღევანდელ დღემდე არ იცნობდა მას. რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით მის შინაარსს, ცალსახად და კატეგორიულად გამოვრიცხავთ ამას. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში არ ჩაუტარდა ექსპერტიზა, განსხვავებით დაზარალებულისგან. კონკრეტულად რა სტანდარტია დაცული, აკმაყოფილებს თუ არა ექსპერტიზისთვის საჭირო საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს, ამის გამოკვლევა მოხდება დღევანდელ სასამართლო პროცესზე, – განაცხადა თავხელიძემ პროცესის დაწყებამდე.

# რას ნანობს კაცი, რომელმაც თელავში მეგობარი ქალი მოკლა




9 ოქტომბერს თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე კორპუსის საცხოვრებელ ბინაში, ქმარმა ცოლს ყელი გამოსჭრა. სახლში ამ დროს წლინახევრის ბავშვი იყო, მკვლელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ თორნიკე გამხვეტელაშილი მკვლელობიდან მალევე, საკუთარ სოფელში სახლთან დააკავა. მან მკვლელობა აღიარა, მისი სიტყვებით, სისულელე ჩაიდინა.

– წლინახევრის ბავშვს ხელზე სისხლი ჰქონდა, ეს განპირობებული იყო იმით, რომ შემთხვევის ადგილზე დიდი რაოდენობით სისხლი იყო დაღვრილი, სააბაზანო ოთახის კარიც სისხლიანი იყო, – ამბობს „იმედის კვირასთან" პროკურორი. მისივე თქმით, მეორე, 6 წლის ბავშვი ბებიასთან გაიქცა და შეშინებულმა უთხრა, რომ დედას კლავდნენ.

მკვლელობაში ბრალდებული თავს იმართლებს და ამბობს, რომ ის მოკლულმა გამოიწვია. „რისთვის უნდა ვიჯდე ციხეში, მხოლოდ ამას ნანობს", – ამბობს პროკურორი დაკავებულის შესახებ.

ბრალდებულს 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

# სენაკში მშობიარე გარდაიცვალა



სენაკში, კლინიკა „სენამედში", 40 წლამდე მშობიარე გარდაიცვალა. ექიმებმა ბავშვის გადარჩენა მოახერხეს. არსებული ინფორმაციით, ქალს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა, თუმცა მდგომარეობა დამძიმდა და მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

2022, 18 ოქტომბერი, №205

# რუს მობილიზებულებს შორის პირველი მსხვერპლია



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს. უკრაინელებმა უკვე ლუგანსკის, ზაპოროჟიეს, ხერსონის ოლქების გათავისუფლება დაიწყეს.

ზაპოროჟიეს ოლქში პარტიზანული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდება. ოკუპირებულ მელიტოპოლში აფეთქებათა სერიები არ წყდება. რაც შეეხება ხერსონს, უკრაინული არმია ქალაქის მისადგომებთან იმყოფება. უკვე დაიწყო ევაკუაცია ხერსონიდან.

– რუსი ჯარისკაცები ინტენსიურად ძარცვავენ მოსახლეობას. მაროდიორობამ მასობრივი მასშტაბები მიიღო, – იტყობინება ტელეკომპანია „პრიამიი".

**რუს ოკუპანტებს შორის დანაკარგი შემდეგია:**

ტანკები – 2.529
საარტილერიო სისტემები – 1.589
თვითმფრინავები – 268
განადგურებულია 65.350 ოკუპანტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი დანაკარგები რუს მობილიზებულებს შორის. დიქტატორ პუტინს მობილიზებულთა უდიდესი იმედი ჰქონდა.

– მალე მობილიზებული 300.000 ადამიანი იქნება! ხოხოლებსაც სეირს ვაჩვენებთ! – ამბობდა პუტინი.

მობილიზებულებს კი ომი არ სურდათ. მათი უმრავლესობა ჯარში მილიციის ძალით გარეკეს. აქ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს არც მობილიზებულთა იარაღით მომარაგება შეეძლო, არც გამოკვება, არც ყაზარმებში განთავსება. ახალწვეულნი, სროლაში ვარჯიშის ნაცვლად, მარშირებით შემოიფარგლნენ. მათ კარვებში სძინავთ. ეს გაუწვრთნელი მასა ომისათვის არც ფიზიკურად, არც ფსიქოლოგიურად მზად არ არის.

როცა ხერსონთან პირველი მობილიზებულები გადაისროლეს, ისინი პირველი გასროლისთანავე გაიფანტნენ. უამრავი მათგანი უკრაინელთა მხარეს გადავიდა.

– ომს ისევ უკრაინული ტყვეობა მირჩევნია, – განაცხადა ვინმე ვორობიოვმა, რომელიც უკრაინელებმა ტყვედ აიყვანეს ხერსონთან.

მობილიზებულთა მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ბელგოროდთან მომხდარი შემთხვევა მეტყველებს. ტაჯიკეთის ორმა მოქალაქემ, რომლებმაც სამუშაოს ძებნაში რუსეთს მიაშურეს, თანაპოლკელებს ცეცხლი გაუხსნეს.

რუსულმა პროპაგანდამ ტაჯიკები უკრაინელების მიერ მოსყიდულ ტერორისტებად მონათლა. უკრაინულმა დაზვერვამ ეს უარყო. მათი ცნობით, ბელგოროდთან მოთავსებული რუსი ახალწვეულები კარვებში ცხოვრობდნენ. ისინი მიეძალნენ ნარკოტიკებსა და ალკოჰოლურ სასმელს. ალკო-ნარკო ნივთიერებებით შეხურებულმა ახალწვეულებმა იჩხუბეს. ამ დროს ორმა ტაჯიკმა თანაპოლკელებს ცეცხლი გაუხსნა.

# თეთრმა სახლმა ჩინეთს მოწოდებით მიმართა



პუტინის მუქარები ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე უკვე ყველას ნერვებზე მოქმედებს. თეთრმა სახლმაც ამის გამო ჩინეთს მიმართა:

– ოფიციალურმა პეკინმა უნდა მოუწოდოს რუსეთს, რომ მსგავსი სისულელეები შეწყვიტოს, – აცხადებს თეთრი სახლი.

# სალივანი: „რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენებას პასუხი მოჰყვება!"



აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში, სალივანმა, ისტორიული განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებას ამერიკელთა პასუხი მოჰყვება.

– მნიშვნელობა არა აქვს იმას, რუსები ტაქტიკური დანიშნულების ბირთვულ იარაღს გამოიყენებენ თუ უფრო დიდი მასშტაბისას! მათი ეს მოქმედება დაუსჯელად არ ჩაივლის! – თქვა სალივანმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცმა ფულის და ოქროს ქურდობაში ჯინი დაადანაშაულა



ინდოეთის ქალაქ მუმბაის მკვიდრის, ბიზნესმენ აბდულკადერ შაბირ გოდხვალას აზრით, მას სახლიდან ოქროს სამკაულებს ჯინი ჰპარავდა.

ინდოელმა პოლიციას მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიმართა, რაც მისი სახლიდან ოქროულობის გარდა, ფულის დაკარგვაც დაიწყო.

– ჯინები ნაღდ ფულს არ იპარავენ, – განაცხადა მამაკაცმა, რომლის დანაკარგმა იმ დროისთვის ოთხ მილიონ რუპიას გადააჭარბა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ერთი დღე დასჭირდათ დამნაშავის მისაგნებად. როგორც გაირკვა, ოქროულობას და ფულს ბიზნესმენს 12 წლის ნათესავი გოგონა ჰპარავდა. გოგონას თქმით, მას ამაში ბიძაშვილი და მისი ორი მეგობარი ეხმარებოდა. რამდენიმე მოპარული ნივთის პოვნა და დაბრუნება მოხერხდა.

ჯერჯერობით გოგონასთვის რაიმე ბრალდება ოფიციალურად არ წაუყენებიათ. მის საკითხს იუსტიციის საბჭო განიხილავს მას შემდეგ, რაც მისი როლი აღნიშნულ საქმეში სრულად დადგინდება.

### დათვმა ბუნაგის მოწყობა საცხოვრებელი სახლის ქვეშ მოისურვა



ამერიკის კოლორადოს შტატის პარკების და ბუნების დეპარტამენტის სპეციალისტებმა დურანგოს მუნიციპალიტეტიდან მიღებულ შეტყობინებაზე რეაგირება მოახდინეს, ადგილობრივი მცხოვრები ითხოვდა, რომ დაეჭირათ და მოეშორებინათ ბარიბალის ჯიშის დათვი, რომელმაც ბუნაგის მოწყობა მისი სახლის ქვეშ მოისურვა.

დეპარტამენტის თანამშრომელმა ჯონ ლივინგსტონმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა ფოტოსურათები და ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ გამოჰყავთ დაწყებითი სკოლის გვერდით მდებარე სახლის ქვეშიდან მტაცებელი ცხოველი.

– ტრანკვილიზატორის და ხუთი ადამიანის ძალისხმევა დაგვჭირდა, სახლის ქვეშიდან ცხოველის გამოსათრევად და სატვირთო მანქანაზე მოსათავსებლად. შემდეგ ის სხვა ადგილას გადავიყვანეთ, – განაცხადა ლივინგსტონმა.

მისი თქმით, დათვი დაახლოებით ცხრა წლის იქნებოდა, ხოლო წონა, 180 კილოგრამს შეადგენდა. ცხოველს ორგანიზმში ჩიპი ჩაუნერგეს, შემთხვევის ადგილიდან 100 კილომეტრის დაშორებით გადაიყვანეს და გაუშვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# 19 ოქტომბერს ნბა-ს მორიგი სეზონი იწყება



ოკეანის გაღმა ორი კალათბურთელი გვყავს – გოგა ბითაძე (ინდიანა პეისერსი) და სანდრო მამუკელაშვილი (მილუოკი ბაქსი).

ორივე ქართველის მომავალი ბუნდოვანია. მამუკელაშვილი კონკურენციაში ვერ ჯდება, ხოლო ბითაძის ბედი დღეს უნდა გადაწყდეს.

საქმე ის არის, რომ ნბა-ს კლუბებს 17 ოქტომბრის დღის ბოლომდე (ამერიკული დროით დღეს გამთენიამდე) აქვთ დრო, გაუხანგრძლივონ თუ არა კონტრაქტი 2019 წლის დრაფტის პირველ წრეში აყვანილ კალათბურთელებს. ერთ-ერთი მათგანი ბითაძეა, რომელიც ინდიანამ დრაფტის მე-18 ნომრად აიყვანა.

ბითაძეს 2022-23 წლების სეზონის კონტრაქტი გარანტირებული აქვს და ხელფასის სახით 4.765.339 დოლარს მიიღებს. თუ დღეს ინდიანა გოგას ახალ ხელშეკრულებას გაუფორმებს, 6.762.016 დოლარი უნდა შესთავაზოს. როგორც ჩანს, ინდიანა ამას არ აპირებს და, შესაძლოა, ჩვენებური ივლისში სულაც თავისუფალი აგენტი გახდეს.

**აი, რას წერს ფორბსი:**

– იქიდან გამომდინარე, რომ ბითაძეს გუნდზე არასტაბილური გავლენა აქვს, ხოლო ინდიანას – სახელფასო ზედა ზღვართან დაკავშირებით რთული სიტუაცია, რისკები სერიოზული მოჩანს. შედეგად, დიდია ალბათობა, რომ ინდიანა და ბითაძე კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ.

გამოცემის აზრით, ინდიანას გარისკვა არ უღირს. თუ ბითაძე სეზონში კარგად ითამაშებს, კლუბს ისედაც შეუძლია, 1-4– წლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს ახალი ფინანსური პირობებით. არის მეორე მხარეც – შესაძლოა, არც თავად ბითაძეა დაინტერესებული ინდიანასთან თანამშრომლობით, რადგან ქართველ ცენტრს შანსს იშვიათად აძლევდნენ. ასე ჩანს ახლაც...

– რატომ უნდა იჩქაროს ბითაძემ და გააფორმოს კონტრაქტი გუნდთან, რომელიც მას სათამაშო წუთებს ვერ ჰპირდება? ყველაფრის გათვალისწინებით, გოგას ალბათ ურჩევნია, სეზონის დასრულებას დაელოდოს.

**ამასობაში ინდიანამ განაცხადი 15 კაცამდე დაიყვანა.**
**ინდიანას შემადგენლობა ახალი სეზონის წინ ასეთია:**

**მცველები:** ტაირიზ ჰალიბერტონი, ტი ჯეი მაკონელი, ენდრიუ ნემბჰარდი;
**მსროლელები:** კრის დუარტე, ბადი ჰილდი, ბენედიქტ მატურინი, აარონ ნესმითი, ტრეველინ ქვინი (ორმხრივი კონტრაქტი);
**ფორვარდები:** ოშეი ბრისეტი, ტერი ტეილორი, ჯეიმს ჯონსონი, კენდალ ბრაუნი (ორმხრივი);
**ცენტრები:** მაილს ტერნერნი, ჯეილენ სმითი, აიზია ჯეკსონი, დანიელ ტაისი, გოგა ბითაძე.

# დუდუ დადიანის მემორიალზე ნახევარფინალისტები ცნობილია



დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირზე ნახევარფინალები დაკომპლექტდა. ბოლო სათამაშო დღემდე 2 ნახევარფინალისტი იყო ცნობილი, რომლებმაც თავიანთ ჯგუფებში პირველობა გაინაღდეს – ქუთაისი და თსუ.

რუსთავში გამართულ ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩებში ერთი ჯგუფის გამარჯვებული და ის გუნდი უნდა გამოვლენილიყო, რომელიც საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით ნახევარფინალს შეავსებდა. ასეც მოხდა და ფლეიოფის საგზურები კავკასიამ და რუსთავმა მოიპოვეს.

ეს თამაშები კი რუსთავში იმიტომ ჩატარდა, რომ ოლიმპიურ სასახლეში, რომელიც ტურნირს მასპინძლობდა, წვიმის დროს წყალი ჩადიოდა და კალათბურთელებს თამაშში ხელს უშლიდა.

დავუბრუნდეთ ტურნირს: ქებას იმსახურებს სუპერლიგის დებიუტანტი კავკასია, რომელიც გასულ სეზონში ა ლიგაში თამაშობდა და, რადგან სუპერლიგის საგზური მოიპოვა, შემადგენლობა გააძლიერა. ბექა წივწივაძემ ეროვნული ნაკრების მეფარე ილია ლონდარიძე დაიმატა, 3 რიგიან ლეგიონერსაც უხმო და კავკასია საქართველოში არავის არ ჩამოუვარდება. გუნდმა ახალი სეზონის პირველივე ტურნირში გამოაჩინა საკუთარი ძალა – დადიანის მემორიალზე ჯგუფში სამივე მატჩი მოიგო და ნახევარფინალში გავიდა.

კავკასიასთან შეხვედრამდე დაუმარცხებელი იყო ოლიმპიც. დავით როგავას გუნდმა წინა სეზონის სუპერლიგის ფინალი ითამაშა და შემადგენლობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაიძლიერა. გუნდი, რომელიც 11 წელია, სუპერლიგაშია და უმეტესად საუკეთესოთა შორის ტრიალებს, სუპერლიგის დებიუტანტს ხვდებოდა და რუსთავის დარბაზში მოსულმა მაყურებელმა თვალსასეირო თამაშიც იხილა.

შეხვედრის მონაწილეებს ბრძოლა და თავდადება არ აკლდათ. ორივე გუნდის წევრები ყველაფერს დებდნენ მიზნის მისაღწევად. განსაკუთრებით, ილია ლონდარიძე, რომელიც წინა სეზონში სწორედ ოლიმპში თამაშობდა და მისი დიდი დამსახურებაა, ეს გუნდი სუპერლიგის ფინალში რომ გავიდა. თანაბრად მიმდინარე შეხვედრის დასკვნით წუთებში კავკასიელებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვეს, თამაშის დასრულებამდე 1 წუთით ადრე მეტოქეს 8 ქულით გაექცნენ და გამარჯვება გაინაღდეს. ილია ლონდარიძესთან ერთად გამორჩეულად ითამაშა ახალგაზრდა ლევან გოგიჩაიშვილმა და კავკასიის ლეგიონერებმა – ჯასტინ ფორესტმა და კრის მაკნილმა. კავკასიამ საბოლოოდ 94:85 იმარჯვა და ოლიმპს ნახევარფინალში ჯგუფის მეორე ადგილიდან გასვლის იმედიც გადაეწურა.

ნახევარფინალში გასვლის შანსი ჰქონდა ცხუმ-აფხაზეთს, რომელმაც ლოკაცია და დასახელება შეიცვალა და სუპერლიგის დაწყებიდან გურჯაანის დელტას სახელით გამოვა. ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა გუნდმა ბათუმს 74:70 სძლია და ჯგუფური ეტაპი დაასრულა. ბოლო ადგილზე გასულ კაკტუსთან თამაშის ჩამოკლებით ჯგუფში მეორეზე გასულ გურჯაანელებს თითო მოგებ-წაგება და ბურთების +3 შეფარდება დაუგროვდათ.

ამ შედეგის გადაფარვის შანსი მხოლოდ რუსთავს დარჩა, რომელიც მეგას ხვდებოდა და 6 ქულით გამარჯვება სჭირდებოდა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და საკუთარ კედლებში, გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერის ფონზე მეგას 92:68 მოუგო. რუსთავში გამართული კიდევ ერთი შეხვედრა მოტივაციისგან დაცლილი იყო. თსუ კაკტუსს შეხვდა და ნებისმიერი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში უნივერსიტეტელები ა ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდნენ, კაკტუსი კი – ბოლოს. შეხვედრა ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა კაკტუსელებმა 76:62 მოიგეს.

ამგვარად, ნახევარფინალში თსუ ქუთაისს ეთამაშება, ხოლო კავკასია – რუსთავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### გზაზე გამოვარდნილი მარტორქა სატვირთო მანქანას თავით შეასკდა



ინდოეთის ასამას შტატში მარტორქა ეროვნული პარკიდან გზაზე გამოიჭრა და მიმავალ სატვირთო მანქანას დაეჯახა.

აღნიშნული ინციდენტი შაბათს, 8 ოქტომბერს მოხდა და ის სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა. კადრებში ჩანს, რომ სატვირთო მანქანა ტყეში გამავალ გზაზე დიდი სიჩქარით გადაადგილდება. რაღაც მომენტში გზის პირას მარტორქა გამოჩნდება, რომელიც, სავარაუდოდ, გზის მეორე მხარეს გადასვლას აპირებდა.

მძღოლმა ცხოველი შენიშნა და მისთვის მარჯვნიდან გვერდის აქცევას შეეცადა, რათა მასთან შეჯახება თავიდან აეცილებინა, თუმცა ეს ვერ მოახერხა. საბოლოოდ მარტორქა მანქანის უკანა ბორბალს თავით შეასკდა. ამის შედეგად ის გვერდით გადავარდა, წამოხტა, ისევ დაეცა, საბოლოოდ კი ისევ წამოხტა და ტყეს შეაფარა თავი.

ეროვნული პარკის რეინჯერები მარტორქის ძებნას შეუდგნენ, რათა ინციდენტის შემდეგ მისი მდგომარეობა შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დახმარება აღმოუჩინონ. შტატის პოლიციამ კი სატვირთო მანქანის მძღოლი იპოვა და დააჯარიმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დინამოები ისევ იგებენ

დასრულდა ეროვნული ლიგის 30-ე ტური. დარჩენილ სამ მატჩში ორივე დინამომ მოიგო და საჩემპიონო რბოლაში არაფერი შეცვლილა. ერთი ფრედ დასრულდა და ევროპისთვის ბრძოლაც კიდევ უფრო დაიძაბა.

**სიონი-დინამო (თბ) 0:2**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 სხირტლაძე (73), 0:2 გაბედავა (85)

**სიონი:** ისიანი, გელაშვილი, კარვალიუ, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი, ჯავაშვილი, ფოცხვერია (ზურაბიანი 80), ჟორდანია (ბექაური 39), ნემსაძე (ასათიანი 46), კიკალიშვილი (გნაბიუ 80), დუმბია

**დინამო:** კუტალაძე, მალი, კალანდაძე, ხვადაგიანი, მექვაბიშვილი (იმრანი 28), სხირტლაძე, კუცია (ანტილევსკი 60), კირკიტაძე, კობოური, კამარა (გაბედავა 69), სიგუა

**გაძევება:** გელაშვილი (36)

ბოლნისის სიონმა დინამო თბილისს უმასპინძლა და 0:2 წააგო. სიონი 36-ე წუთზე 10 კაცით დარჩა, რადგან ივა გელაშვილი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს. იმ დროს ჯერ 0:0 იყო.

სიონმა ბევრი იბრძოლა, მაგრამ ბოლოსკენ მაინც გატყდა – ჯერ დინამოელთა კაპიტანმა დავით სხირტლაძემ გახსნა ანგარიში, მერე კი გიორგი გაბედავამ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ორივეს 6-6 გოლი მოუგროვდა.

დინამოელთა 17 წლის საყრდენი გაბრიელ სიგუა პირველად მოხვდა დინამოს სასტარტოში და სხირტლაძეს კარგი საგოლე პასი სწორედ მან გაუკეთა.

დინამო თბილისი ისევ ორქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს, სიონი კი მერვე ადგილზე დარჩა.

**დინამო (ბთ)-დილა 3:2**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 კობახიძე (35), 2:0 რადინი (42), 3:0 ჯოვინო (45), 3:1, 3:2 კაპანაძე (80, 90)

**დინამო:** ალავიძე, ტეიდი, აზაცკი, ჯიღაური, ფანცულაია (ვაწაძე 74), ალთუნაშვილი (ბიძინაშვილი 74), ნავალოვსკი (ღუდუშაური 43), კობახიძე, რადინი, ჩაბრაძე, ჯოვინო (ზარია 90)

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე (ძოწენიძე 46), სანტოსი, მოსიაშვილი, თ.კაპანაძე, გეილი, ნონდი, სპანდერაშვილი (გომისი 61), ვიქტორი (ბატიუშინი 90), სილვა

**გაძევება:** ჯიღაური (55)

ბათუმის დინამომ მოსაგები დილას კი მოუგო, მაგრამ ჯერ ისევ მეორე ადგილზე რჩება.

ზღვისპირელებმა სამივე გოლი პირველი ტაიმის ბოლო 10 წუთში გაიტანეს. ჯერ კაპიტანმა მამუკა კობახიძემ თავურით დააწინაურა მასპინძლები, შემდეგ მილან რადინმა ორამდე გაზარდა სხვაობა, მესამე უკვე ჯოვინო ფლამარიონმა გაიტანა.



ბრაზილიელს 15 გოლი მოუგროვდა მიმდინარე ეროვნულ ლიგაში, ბომბარდირთა დავაში ლიდერობს და 4-4 ბურთით უსწრებს ირაკლი სიხარულიძესა და ირაკლი რუხაძეს.

მეორე ნახევარში, 55-ე წუთზე, მასპინძლები ათი კაცით დარჩნენ, რადგან ჯამბულ ჯიღაური გააძევეს ვარზე გადამოწმებით.

რიცხობრივ უმრავლესობაში მყოფმა დილამ მე-80 წუთზე სხვაობა თორნიკე კაპანაძის გოლით შეამცირა. მანვე მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა და სხვაობა მინიმალური გახადა, მაგრამ მეტისთვის არც მას ეყო დრო და არც მთლიანად დილას...

**ტორპედო-საბურთალო 1:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 სანდოხაძე (39), 1:1 ტაბატაძე (45)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მონტეირო, ნადარაია, გიგაური, გ.კუხიანიძე (მანჯგალაძე 26), შულაია (ქიმაძე 83), სანდოხაძე, მჭედლიშვილი (გეგეჭკორი 66), შერგელაშვილი (ბუღრიძე 66), ახვლედიანი (არაბიძე 46), კაბალიერო

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, გოჩოლეიშვილი, კაკუბავა, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ქარდავა, ო.მამაგეიშვილი (პარუნაშვილი 76), ლ.ნონიკაშვილი (გულიაშვილი 76), ტაბატაძე, გოშთელიანი (გ.მამაგეიშვილი 88), სიხარულიძე

ზესტაფონში გამართული მატჩი 1:1 დასრულდა. ტორპედო მეხუთეზე დარჩა ცხრილში, საბურთალო კი – მეექვსეზე. მათ შორის სხვაობა ერთი ქულაა. თუმცა არც სამეულს ჩამორჩებიან დიდად და ევროტურნირების საგზურის მოპოვებას უმიზნებენ.

ორივე გოლი პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გავიდა: ჯერ ქუთაისელთა მცველმა ნიკა სანდოხაძემ გაიტანა თავურით, მერე კი საბურთალოს შემტევმა იური ტაბატაძემ შორიდან ცხრიანში მოათავსა ბურთი.

მატჩის წინ ტორპედოს მწვრთნელ კახა ჩხეტიანს მესამე წრის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადაეცა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 30 | 20 | 6 | 4 | 61-23 | 66 |
| 2.დინამო (ბთ) | 30 | 19 | 7 | 4 | 70-25 | 64 |
| 3.სამგურალი | 30 | 13 | 9 | 8 | 47-35 | 48 |
| 4.დილა | 30 | 13 | 7 | 10 | 37-30 | 46 |
| 5.ტორპედო | 30 | 13 | 6 | 11 | 40-43 | 45 |
| 6.საბურთალო | 30 | 8 | 10 | 10 | 47-38 | 44 |
| 7.თელავი | 30 | 6 | 13 | 11 | 25-31 | 31 |
| 8.სიონი | 30 | 6 | 12 | 12 | 29-49 | 30 |
| 9.გაგრა | 30 | 7 | 8 | 15 | 30-48 | 29 |
| 10.ლოკომოტივი | 30 | 1 | 4 | 25 | 24-88 | 7 |

## შედეგები

### 16 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ჩელსი ............ 0:2
ლიდსი-არსენალი ............ 0:1
მანჩესტერი-ნიუკასლი ............ 0:0
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი ............ 1:1
ლივერპული-სიტი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 10 | 9 | 0 | 1 | 24-10 | 27 |
| 2.სიტი | 10 | 7 | 2 | 1 | 33-10 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-10 | 23 |
| 4.ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-10 | 19 |
| 5.მანჩესტერი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-15 | 15 |
| 6.ნიუკასლი | 10 | 3 | 6 | 1 | 17-9 | 15 |
| 7.ბრაიტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-11 | 14 |
| 8.ლივერპული | 9 | 3 | 4 | 2 | 21-12 | 13 |
| 9.ბრენტფორდი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-17 | 13 |
| 10.ბორნმუთი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-22 | 13 |
| 11.ფულემი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-20 | 12 |
| 12.ვესტ ჰემი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-11 | 11 |
| 13.კრ.პალასი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-12 | 10 |
| 14.ევერტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 8-11 | 10 |
| 15.ლიდსი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-13 | 9 |
| 16.ასტონ ვილა | 10 | 2 | 3 | 5 | 7-13 | 9 |
| 17.ვულვზი | 10 | 2 | 3 | 5 | 4-12 | 9 |
| 18.საუთჰემპტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-18 | 8 |
| 19.ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 15-24 | 5 |
| 20.ნოტინგემი | 10 | 1 | 2 | 7 | 7-23 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰალი-ბირმინგემი ............ 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-აუგსბურგი ............ 3:2
უნიონი-დორტმუნდი ............ 2:0
ბაიერნი-ფრაიბურგი ............ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 10 | 7 | 2 | 1 | 18-6 | 23 |
| 2.ბაიერნი | 10 | 5 | 4 | 1 | 30-8 | 19 |
| 3.ფრაიბურგი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-13 | 18 |
| 4.ჰოფენჰამი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-10 | 17 |
| 5.აინტრახტი | 10 | 5 | 2 | 3 | 21-17 | 17 |
| 6.გლადბახი | 10 | 4 | 4 | 2 | 18-14 | 16 |
| 7.კიოლნი | 10 | 4 | 4 | 2 | 19-17 | 16 |
| 8.დორტმუნდი | 10 | 5 | 1 | 4 | 13-14 | 16 |
| 9.ვერდერი | 10 | 4 | 3 | 3 | 20-16 | 15 |
| 10.ლაიფციგი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-15 | 15 |
| 11.მაინცი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-13 | 15 |
| 12.აუგსბურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-16 | 13 |
| 13.ვოლფსბურგი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-17 | 10 |
| 14.შტუტგარტი | 10 | 1 | 5 | 4 | 13-15 | 8 |
| 15.ჰერტა | 10 | 1 | 5 | 4 | 12-15 | 8 |
| 16.ლევერკუზენი | 10 | 2 | 2 | 6 | 14-21 | 8 |
| 17.შალკე | 10 | 1 | 3 | 6 | 10-24 | 6 |
| 18.ბოხუმი | 10 | 1 | 1 | 8 | 9-27 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-რეგენსბურგი ............ 0:3
პადერბორნი-ზანდჰაუზენი ............ 3:0
კილი-ჰაიდენჰაიმი ............ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-სოსიედადი ............ 1:2
რეალი-ბარსელონა ............ 3:1
ესპანიოლი-ვალიადოლიდი ............ 1:0
ბეტისი-ალმერია ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 9 | 8 | 1 | 0 | 22-8 | 25 |
| 2.ბარსელონა | 9 | 7 | 1 | 1 | 21-4 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 9 | 6 | 1 | 2 | 15-7 | 19 |
| 4.ბეტისი | 9 | 6 | 1 | 2 | 13-6 | 19 |
| 5.სოსიედადი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-12 | 19 |
| 6.ბილბაო | 9 | 5 | 2 | 2 | 17-6 | 17 |
| 7.ვალენსია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-10 | 14 |
| 8.ოსასუნა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-8 | 13 |
| 9.ვილიარეალი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-3 | 12 |
| 10.რაიო | 9 | 3 | 2 | 4 | 10-12 | 11 |
| 11.სელტა | 9 | 3 | 1 | 5 | 10-16 | 10 |
| 12.სევილია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 13.მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 14.ესპანიოლი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-16 | 9 |
| 15.ხირონა | 9 | 2 | 2 | 5 | 12-15 | 8 |
| 16.ვალიდოლიდი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 17.ხეტაფე | 9 | 2 | 2 | 5 | 8-16 | 8 |
| 18.ალმერია | 9 | 2 | 1 | 6 | 8-15 | 7 |
| 19.კადისი | 9 | 1 | 3 | 5 | 4-17 | 6 |
| 20.ელჩე | 9 | 0 | 3 | 6 | 6-21 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლევანტე-ლეგანესი ............ 2:1
ბურგოსი-მირანდესი ............ 2:1
მალაგა-ლუგო ............ 3:2
ტენერიფე-გრანადა ............ 2:0
კარტახენა-იბიცა ............ 2:0

**იტალია. სერია ა**

ინტერი-სალერნიტანა ............ 2:0
ლაციო-უდინეზე ............ 0:0
სპეცია-კრემონეზე ............ 2:2
ნაპოლი-ბოლონია ............ 3:2
ვერონა-მილანი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 10 | 8 | 2 | 0 | 25-8 | 26 |
| 2.ატალანტა | 10 | 7 | 3 | 0 | 16-6 | 24 |
| 3.მილანი | 10 | 7 | 2 | 1 | 20-10 | 23 |
| 4.ლაციო | 10 | 6 | 3 | 1 | 21-5 | 21 |
| 5.უდინეზე | 10 | 6 | 3 | 1 | 19-10 | 21 |
| 6.რომა | 9 | 6 | 1 | 2 | 12-9 | 19 |
| 7.ინტერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18-14 | 18 |
| 8.იუვენტუსი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-7 | 16 |
| 9.სასუოლო | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| 10.ემპოლი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-11 | 11 |
| 11.ტორინო | 10 | 3 | 2 | 5 | 7-12 | 11 |
| 12.სალერნიტანა | 10 | 2 | 4 | 4 | 12-16 | 10 |
| 13.მონცა | 10 | 3 | 1 | 6 | 9-15 | 10 |
| 14.ფიორენტინა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 15.სპეცია | 10 | 2 | 3 | 5 | 9-19 | 9 |
| 16.ლეჩე | 9 | 1 | 4 | 4 | 8-11 | 7 |
| 17.ბოლონია | 10 | 1 | 4 | 5 | 10-17 | 7 |
| 18.ვერონა | 10 | 1 | 2 | 7 | 9-19 | 5 |
| 19.კრემონეზე | 10 | 0 | 4 | 6 | 9-21 | 4 |
| 20.სამპდორია | 9 | 0 | 3 | 6 | 5-17 | 3 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-ზიუდტიროლი ............ 1:2

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ტულუზა-ანჟე ............ 3:2
ნანტი-ბრესტი ............ 4:1
ოსერი-ნიცა ............ 1:1
რენი-ლიონი ............ 3:2
ტრუა-აიაჩო ............ 1:1
მონაკო-კლერმონი ............ 1:1
პსჟ-მარსელი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 9 | 2 | 0 | 29-5 | 29 |
| 2.ლორიანი | 11 | 8 | 2 | 1 | 21-14 | 26 |
| 3.ლანსი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-8 | 24 |
| 4.მარსელი | 11 | 7 | 2 | 2 | 20-8 | 23 |
| 5.რენი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-11 | 21 |
| 6.მონაკო | 11 | 6 | 3 | 2 | 20-14 | 21 |
| 7.ლილი | 11 | 6 | 1 | 4 | 21-18 | 19 |
| 8.კლერმონი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-16 | 17 |
| 9.ტულუზა | 11 | 4 | 3 | 4 | 17-18 | 15 |
| 10.ლიონი | 11 | 4 | 2 | 5 | 19-15 | 14 |
| 11.მონპელიე | 11 | 4 | 0 | 7 | 21-22 | 12 |
| 12.ტრუა | 11 | 3 | 3 | 5 | 19-22 | 12 |
| 13.ნიცა | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 14.ნანტი | 11 | 2 | 4 | 5 | 13-19 | 10 |
| 15.რეიმსი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-18 | 9 |
| 16.ოსერი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-23 | 9 |
| 17.სტრასბური | 11 | 1 | 5 | 5 | 11-18 | 8 |
| 18.ანჟე | 11 | 2 | 2 | 7 | 13-27 | 8 |
| 19.აიაჩო | 11 | 2 | 2 | 7 | 7-16 | 8 |
| 20.ბრესტი | 11 | 1 | 3 | 7 | 11-25 | 6 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სპარტა-ნაიმეგენი ............ 2:0
პსვ-უტრეხტი ............ 6:1
ტვენტე-გრონინგენი ............ 3:0
ალკმაარი-ფეიენოორდი ............ 1:3
აიაქსი-ექსელსიორი ............ 7:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-ანტვერპენი ............ 3:0
გენტი-მეხელენი ............ 3:0
ანდერლეხტი-ბრიგე ............ 0:1
ოსტენდე-სენ ჟილუა ............ 1:6

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ჰარტბერგი ............ 1:0
შტურმი-ვოლფსბერგერი ............ 3:2

**შტურმის პირველი გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა**

ავსტრია-ზალცბურგი ............ 1:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-რეინჯერსი ............ 1:2
აბერდინი-გართსი ............ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ისთანბული ............ 2:0
ბეშიქთაში-ტრაბზონი ............ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ატრომიტოსი ............ 1:0
იანინა-ოფი ............ 2:2
ლამია-პანათინაიკოსი ............ 0:2
ასტერასი-პანეთოლიკოსი ............ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლუგანო ............ 1:1
სერვეტი-ბაზელი ............ 0:0
ციურიხი-იანგ ბოიზი ............ 0:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სლოვაცკო ............ 3:1
ზლინი-ლიბერეცი ............ 2:1
იაბლონეცი-პლზენი ............ 0:3
სლავია-მლადა ............ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგნიცა-კრაკოვია ............ 1:1
ვიძევი-ზაგლებიე ............ 3:0
გურნიკი-ლეხი ............ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

რუხი-დნიპრო ............ 2:3
შახტარი-დინამო ............ 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ............ 1:1
ვიბორგი-ოდენსე ............ 0:0
ნორდსიელანდი-ორხუსი ............ 1:1
მიდტიულანდი-ჰორსენსი ............ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-აიკი ............ 1:2
მიალბი-ჰამარბი ............ 0:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-სარპსბორგი ............ 0:1
ვოლერენგა-ბოდო ............ 0:6
კრისტიანსუნი-ჰაუგესუნდი ............ 0:1
ალესუნი-ჰამ კამი ............ 0:0
სანდერფიორდი-ერვი ............ 1:2
ლილესტრიომი-მიოლდე ............ 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ცოცხლად მშობელი თევზი; 2. ნაქსოვი ფეხსამოსი; 3. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 4. სატუსაღო ძველ თბილისში; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პირველი იაპონური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი; 12. სხვადასხვა ნაწილაკისგან შეკოწიწებული ნაერთი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

**თარაზულად:** 5. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი პუბლიკაცია; 6. ქართველი მოდელიერი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. საკანონმდებლო ორგანოს წევრი აშშ-ში; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. ბელინის ოპერა; 19. მდინარე გურიაში; 21. გოეთეს ტრაგედია; 22. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 23. სტეპებში გავრცელებული არწივი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გამბრინუსი; 2. ძელქვა; 3. სიმონია; 4. კოლიო; 5. ჟურფიქსი; 6. ფურკა; 7. სიმენსი; 9. კარაქი; 13. ჰერში; 17. ურდო; 18. ობი.

**თარაზულად:** 1. გორგაძე; 3. სუდოკუ; 8. ბუზუკი; 10. ექოლოტი; 11. ორერა; 12. ტორსიდა; 14. ონიქსი; 15. აკაპელა; 16. სეული; 19. რიშარი; 20. დიაფანი; 21. მადონა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საფიხვნო; 2. სელბი; 3. მჭედლიძე; 4. ციცაგი; 7. შკოდა; 9. ჭინკა; 12. ბრანდვახტი; 14. მიქლიო; 15. კასკადი; 17. ჰოოპუნა; 20. უწერა.

**თარაზულად:** 5. ბაბუშერა; 6. კაჭკაჭი; 8. გობსეკი; 10. ვოდევილი; 11. ანემია; 13. მწევარი; 16. სალონიკი; 18. ჩორდი; 19. ქსანი; 21. რწყილი; 22. ოდომეტრი; 23. გრანიტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7645

ევრო — 2.6946

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1120

100 რუსული რუბლი — 4.4583

## ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისათვის




## იურგენ კლოპი: „სიტისთან საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ“



ლივერპულმა საკუთარ მოედანზე მანჩესტერ სიტის დამარცხება შეძლო და სიტის მოგებათა შთამბეჭდავი სერია შეწყვიტა. მატჩის შემდეგ იურგენ კლოპი კმაყოფილებას არ მალავდა და, მისი აზრით, ლივერპულმა სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა: „ჩემი ბიჭებით ვამაყობ და მათ დღეს საუკეთესო ფეხბურთი აჩვენეს. სიტის დამარცხება ყოველთვის რთულია, მაგრამ დღეს ჩვენ ამის გაკეთება მოვახერხეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ“.

## ხავი: „ბარსელონას ცუდი პერიოდი აქვს“

ბარსელონა სტუმრად რეალთან დამარცხდა 1:3 და მატჩის შემდეგ ხავიმ თავისი უკმაყოფილება არ დამალა. ბარსელონის მწვრთნელის აზრით, გუნდს ცუდი პერიოდი აქვს, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაილახოს: „სამწუხაროა, რომ რეალთან წავაგეთ, მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ ისინი ჩვენზე უკეთესები იყვნენ და მათ გამარჯვება დაიმსახურეს. ბარსელონას ცუდი პერიოდი აქვს და ჩვენ ეს უნდა გადავლახოთ. ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია“.

## ანჩელოტი: „რეალმა გამარჯვება დაიმსახურა“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ბარსელონასთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალმა დამსახურებულად მოიგო და ისინი მეტოქეზე უკეთესად თამაშობდნენ: „ბარსელონამ ბოლოს გვანერვიულა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ცოტათი გაგვიმართლა, მაგრამ მთლიანობაში მეტოქეს ვაჯობეთ და სრულიად დამსახურებულად მოვიგეთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კახა ქორიძე თუმანიშვილის პრემიით დააჯილდოვეს



კახა ქორიძემ ერთადერთი როლით სამუდამოდ დაამახსოვრა თავი ათასობით მაყურებელს. რეზო ჩხეიძის ფილმში „ღიმილის ბიჭები“ ნათამაშევი მისი თემო დღემდე არ ავიწყდებათ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალმა „საჩუქარმა“ გადაწყვიტა, კახა ქორიძე თუმანიშვილის პრემიით დაეჯილდოებინა.

მას პრემია საზეიმო ვითარებაში მარჯანიშვილის თეატრში გადაეცა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– საყვარელო, მაპატიე და უნდა გამოგიტყდე, როდესაც შენთან სექსით ვარ დაკავებული, სხვა ქალებზე ვფიქრობ.

– ნაძირალა ხარ! სხვათა შორის, როდესაც მე სხვა მამაკაცთან ვარ სექსით დაკავებული, მხოლოდ შენზე ვფიქრობ!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ჩვენს ქალიშვილს უფლება არ მისცე, რომ იმ კაცს გაჰყვეს ცოლად, იქნებ მისთვის ვინმე უფრო ჭკვიანი ვნახოთ.

– მე მის ასაკში ასევე რომ მემსჯელა, დღემდე გაუთხოვარი ვიჯდებოდი.

●●●

ნაცნობი გივის ეკითხება:

– ბიჭო, როგორ არის ლალი, როგორი დიდი სიყვარული გქონდათ.

– დამთავრდა ჩვენი სიყვარული.

– დაშორდით?

– არა, დავქორწინდით.

●●●

ორნი საუბრობენ, ერთი მეორეს ეუბნება:

– როგორ მოგვიმრავლდა ქვეყანაში უმუშევრები.

– ნუ იტყვი, ჩვენთან კანონებიც კი არ მუშაობენ.

●●●

უნივერსიტეტის ორი ლექტორი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გამოცდაზე თუნდაც ერთი კარგი ნიშანი რომ დავწერო, მთელი ჯგუფი ხელისგულზე დამისვამს.

ამ დროს დეკანმა ჩაიარა, საუბარს ყური მოჰკრა და ეუბნება:

– მე რომ ორივე გაგათავისუფლოთ სამსახურიდან, მთელი ფაკულტეტი ხელისგულზე მატარებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გიგი ადამაშვილმა რომა რცხილაძის „ნატვრის ხე“ ინგლისურად ჩაწერა



რომა რცხილაძის ერთ-ერთი გამორჩეული ჰიტი „ნატვრის ხე“ მომღერალმა გიგი ადამაშვილმა ინგლისურად ააჟღერა:

– მინდა მადლობა გადავუხადო რომა რცხილაძეს ლეგენდარული მუსიკისთვის და იმისთვის, რომ მომცა უფლება, შემექმნა ჩემი მოკრძალებული ვერსია.

დიდი მადლობა ჩემს უსაყვარლეს მეგობრებს, ნიკალა ზუბიაშვილს პროდიუსინგისთვის, მარიამ მემე ჟორდანიას ინგლისური ტექსტისთვის.

შეგიძლიათ მოისმინოთ ყველა მუსიკალურ პლატფორმაზე.

## ზალიკო ბერგერი პოსტივის თანამშრომელი გახდა



დიზაინერი ზალიკო ბერგერი სატელევიზიო სივრცეს ხანმოკლე პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და ტელეკომპანია „პოსტივის“ თანამშრომელი გახდა:

– ყოველდღე მიყურეთ ტელეკომპანია პოსტივის ეთერში! კაი ამბავი გელოდებათ! რეიტინგი ჩვენზეა! თქვენზე და ჩემზე! ეთერიდან მოგესალმებით!

## ელისო ბოლქვაძე იუნესკოს მშვიდობის არტისტად მესამედ აირჩიეს



პიანისტი ელისო ბოლქვაძე იუნესკოს მშვიდობის არტისტად მესამე ვადით აირჩიეს.

ეს საპატიო მისია ქართველ მუსიკოსს პირველად 2015 წელს დაეკისრა და მას შემდეგ წარმატებით აგრძელებს მის შესრულებას:

– დიდი პატივია, გავხდე იუნესკოს მშვიდობის არტისტი მესამე ვადით!

## გიორგი სისაურის ნამუშევრები იტალიაში გამოიფინა



კალიგრაფისტ გიორგი სისაურის უნიკალური ნამუშევრები იტალიის ქალაქ მილანში გამოიფინა.

„ანბანთქება“ – ასე ეწოდება კოლექციას, რომელიც აკვარელში შესრულებული მოოქროვილი, ძვირფასი ქვებით შემკული ნიმუშებით არის წარმოდგენილი.

გიორგი ქართული ანბანის თემაზე წლებია მუშაობს, უამრავ სიმბოლოს, შინაარსობრივ დეტალს დებს ნამუშევრებში და უნიკალური ქართული დამწერლობის შესახებ მსოფლიოს ამცნობს.

გიორგი სისაური პროექტის „თბილისური დღეები მილანში“ ერთ-ერთი ფავორიტია. კალიგრაფისტი წარმოადგენს საოცარი ტექნიკისა და ფანტაზიის ნაზავს, ქართული ანბანის ორიგინალურ 38 საზედაო ასოს. ყოველი მინიატურული ნამუშევარი, შეიძლება ითქვას, რომ საიუველირო ნაშრომია.

გიორგი სისაურის ქართული ანბანი განაგრძობს მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო. მალე ლომბარდიაში გაეცნობიან მის კოლექციასა და, კოლექციასთან ერთად, ქართული დამწერლობის, ანბანის განვითარების ისტორიას.

„თბილისური დღეების“ ფარგლებში გიორგის ლექსების კრებულის პრეზენტაციაც შედგება და მის პოეტურ, მართლაც უნიკალურ სამყაროსაც უშუალოდ გაიცნობენ იტალიელები. შემოქმედი დაინტერესებული პირებისთვის კალიგრაფიაში მასტერკლასებსაც გამართავს.

# რა ხდება კინომსახიობთა თეატრში?

მსახიობმა აკაკი ხიდაშელმა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი დატოვა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი ვანო ხუციშვილი, მსახიობთა დისკრიმინაციაში დაადანაშაულა.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა განცხადებაც დაწერა სამსახურიდან წასვლის თაობაზე, სამხატვრო ხელმძღვანელი მას თანამშრომლობას მაინც სთავაზობს.



რეჟისორ ვანო ხუციშვილის მიერ მსახიობ აკაკი ხიდაშელისადმი მიწერილი წერილი მსახიობმა ინტერნეტში თავად გაავრცელა:

– 15 ივნისის წერილი, რომელიც თქვენი თეატრიდან წასვლის თაობაზე შემოვიდა თეატრის ადმინისტრაციაში, ჩემ მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული და განცხადება მივიღე, როგორც შეტყობინება-გაფრთხილება. მე არც ახლა გამოვხატავ ამ განცხადების დაკმაყოფილების მზაობას და ამ წერილით კიდევ ერთხელ ვიყენებ შანსს, გთხოვოთ თანამშრომლობის გაგრძელება და დავაფიქსირო სურვილი თქვენი თეატრიდან არწასვლის შესახებ.

კანონის რეგულაციებიდან გამომდინარე, თქვენი მოთხოვნა, რომელიც 15 ივნისით თარიღდება, ავტომატურად ძალაში შევიდა 15 ივლისიდან (მიუხედავად ჩემ მიერ არდაკმაყოფილებისა). აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით და გთავაზობთ 15 ივლისიდან თანამშრომლობის გაგრძელებას ახალი შრომითი ხელშეკრულების პირობებში, რათა შევინარჩუნოთ თეატრისათვის ესოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი სპექტაკლები და ასევე შეუფერხებლად გააგრძელოთ მუშაობა ახალ პროექტზე – ლუიჯი პირანდელოს პიესაზე „ეს ასეა, თუკი თქვენ გგონიათ, რომ ეს ასეა“ გიორგი (გოგი) მარგველაშვილის რეჟისორობით, სადაც მთავარ როლზე ხართ განაწილებული და რომლის განხორციელებაც თეატრისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და კონცეპტუალურად მნიშვნელოვანი საკითხია.

ასევე, შემიძლია შემოგთავაზოთ სხვა სახის თანამშრომლობა იმ შემთხვევაში, თუ თქვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ჩემი სამხატვრო ხელმძღვანელობის პერიოდში განსახორციელებელი პროექტების მხატვრულ-შემოქმედებით კონცეფციაში არათანამოაზრეობა და პროექტებში მონაწილეობის არმიღება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ იმ სპექტაკლების შენარჩუნებას, რომელშიც ხართ დაკავებული და რომელი სპექტაკლებიც სარეპერტუაროა, რადგან მიმაჩნია, რომ ეს სპექტაკლები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს არსებულ რეპერტუარში. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, გაფორმდეს ხელშეკრულება ერთჯერადი გადახდის ფორმით და აქვე გთავაზობთ, რომ თანხა დაასახელოთ თქვენივე შეხედულებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოში არსებული თეატრების გამოცდილებასთან და შესაძლებლობებთან.

ეს ორივე შემოთავაზება განისაზღვროს 2022 წლის ბოლომდე იმ პირობით, რომ ახალი წლიდან გადაიხედოს შრომითი ხელშეკრულებები გაუმჯობესების კუთხით-სურვილით.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ წუხილს შექმნილი ვითარების გამო. იმედს ვიტოვებ, რომ მოუგვარებელი და შეუთანხმებელი პოზიციები თეატრში არ იარსებებს და თეატრის ყველა თანამშრომელი თავის ადამიანურ და შემოქმედებით რესურსს, პირველ რიგში, სწორედ თეატრის ინტერესებს მოახმარს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 18 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – ოჯახში ჰარმონიული ატმოსფერო სუფევს. მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. **კურო** – ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. მიიღეთ მხოლოდ მსუბუქი საკვები. **ტყუპები** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. დაბრკოლებების გადალახვაში მეგობრები დაიხმარეთ. **კირჩხიბი** – იზრუნეთ ახლო ნათესავებზე. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, მათ მატერიალურად დაეხმარეთ. **ლომი** – არავინ მოატყუოთ. პირობა შეასრულეთ. კარგი დღეა შემოქმედითი თვალსაზრისით. **ქალწული** – გრანდიოზულ მიზნებს ნუ დაისახავთ. უმჯობესია, დარჩენილი საქმეები დაამთავროთ. **სასწორი** – პასიური დღეა. უპრინციპობა და სიზარმაცე თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. **ღრიანკალი** – ქრონიკულ დაავადებებს ნებაზე ნუ მიუშვებთ. დროულად იმკურნალეთ. გათავისუფლდით ყოველგვარი წყენისაგან. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ აქტიურად. ასევე კარგი იქნება შემოქმედებით სფეროში საქმიანობა. **თხის რქა** – ბიზნესში გიმართლებთ. პარტნიორებთან შეხვედრა თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – გარემოს შეცვლა, მოგზაურობა ნერვებს დაგიმშვიდებთ. მოგიხდებათ ასევე სპორტი, ცურვა, ფიტნესი. **თევზები** – რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. სიტუაცია ადეკვატურად შეაფასეთ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ჩეხური ლუდი; 2. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 3. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. ინგლისელ კოლონიზატორთა მეტსახელი ინდოეთში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ზომის გრძნეული ფრინველი; 6. მრავალშრიანი ფანერა; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 13. ფულის ერთეული ყაზახეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო, მოლაპარაკე თუთიყუში.

**თარაზულად:** 1. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 3. ღვინის ვაჭარი ძველად; 8. იმრე კალმანის ოპერეტა; 10. სლოვენიის ნაკრებისა და „დალასის“ კალათბურთელი; 11. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 12. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 14. შავი ზღვისპირეთში გავრცელებული ეთერზეთოვანი მცენარე; 15. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. კოლუმბიის დედაქალაქი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*